ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 2022 №34 (8812) ფასი: 60 თეთრი

პოლიციამ იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისთვის 8 პირი დააკავა

გვ.5



„ოცნება“ არ დაუშვებს, რომ ბადრი ჯაფარიძე პარლამენტში დაბრუნდეს“

ბადრი ჯაფარიძეს რუსთავში ნაციონალები მხარს დაუჭერენ, გახარიას პარტია — არა გვ.2

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციას სამი ეტაპი აქვს გასავლელი“

გვ.3

„ოპოზიცია ძალიან დასუსტდა, გაუჭირდება მუხტის აწევა“

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლებას არ გამოუვა ტრიუკი, რომ გახარიას ნაციონალებთან გარიგება დააბრალოს“

„ქუჩის გარეშე ოლიგარქიული რეჟიმის დამარცხება შეუძლებელია“

გიორგი ბარამიძე: „მე რომ პარლამენტში ვიყო, განსხვავებულად ვიმოქმედებდი, მაგრამ პატივს ვცემ მეგობრების აზრს“

გვ.3

„საზოგადოების მოთმინებას ცდიან, პუტინის გეგმაა სიტუაციის აფეთქება და სამოქალაქო დაპირისპირება, რაც არ უნდა დავუშვათ“

„თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, დიდი ალბათობით, ამას საქართველოში შემოჭრაც მოჰყვება“

ვახტანგ მაისაია: „მე ვემხრობი დასავლეთის კურსს. საქართველომ და უკრაინამ ნატოზე უარი არ უნდა თქვან“

გვ.4

საგამოძიებო სამსახურს კარლო კაციტაძე უხელმძღვანელებს, პერსონალურ დაცვას — ლელა ჯანაშვილი

გვ.5

ადვოკატი ჯავახიშვილი: „ფოთში ჩვილის გარდაცვალებაზე დაკავებულ დედას ბრალი წარედგინა“

გვ.2

„კრემლი ცდილობს, უკრაინის საზღვრიდან ჯარის გამოყვანა დუმის მწვავე განცხადებით გააწონასწოროს“

ISSN 1987-9385

5 დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები საქმეზე არაკონსტიტუციური ნორმების გამოყენებას ასაჩივრებენ

6 ყირიმში ნვრთნები დასრულდა და რუსი ჯარისკაცები მუდმივი დისლოკაციის ადგილს უბრუნდებიან

5 ახალციხის სასამართლომ ო.ნ. არასრულწლოვანთან ძალადობრივ სექსში დამნაშავედ ცნო

6 ზელენსკი: „ჩვენი საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანას ჯერჯერობით ვერ ვხედავთ“

„ოპოზიცია ძალიან დასუსტდა, გაუჭირდება მუხტის აწევა“

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლებას არ გამოუვა ტრიუკი, რომ გახარიას ნაციონალებთან გარიგება დააბრალოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ოპოზიციის დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო ოპოზიციონერი პოლიტიკოსების დევნა, საუბარია მანდატის შეწყვეტაზე. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– დეპუტატების საკითხი აუცილებლად უნდა გავყოთ. სხვადასხვა ქეისებია. ელენე ხოშტარიამ თავადვე მოითხოვა დეპუტატობის მანდატის გაუქმება, ამაზე უარიც არ უთქვამს და უუქმებენ მოთხოვნის მიხედვით და ეს სწორია. შალვა ნათელაშვილმა ჯერ მოითხოვა გაუქმება, მერე ნახა, რომ დაფინანსება უწყდება და ამიტომ გადაწყვიტა ისევ დაბრუნდეს, მოკლედ, ცოტა არათანმიმდევრული მომენტია მისი მხრიდან. რაც შეეხება ბადრი ჯაფარიძეს, სიმართლე გითხრათ, ამ შემთხვევაში სხვანაირად მოვიქცეოდი. კი გასაგებია, რომ სასჯელი აქვს მიყენებული. როგორც ვიცით, თაღლითობის მუხლით მიუსაჯეს და ამის საფუძველზე შეუწყდა უფლებამოსილება. როდესაც დამთავრებული არ არის სასამართლო პროცესი, ეს არასწორია. როგორც ვიცით, სააპელაციო სასამართლოშია საქმე წასული. სანამ უზენაესი სასამართლო არ დაამტკიცებს ამ სასჯელს, მართალია მე სამართალმცოდნე არა ვარ და ამ პროცედურებზე დეტალურად ვერ ვისაუბრებ, თუმცა ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი მგონია. იცით რა არის მთავარი პრობლემა?!

– რა არის მთავარი პრობლემა, ბატონო მამუკა?

– ჯაფარიძის საქმეს რაც შეეხება, აქ პრობლემა გვაქვს სასამართლოს ნდობასთან. საქართველოს მოსახლეობა რომ ქართულ სასამართლოს ენდობოდეს, ეს კითხვები არ გაჩნდებოდა, ეს წინააღმდეგობა არ იქნებოდა და არც ეს პრობლემა შეიქმნებოდა.

– ანუ, აქ არის კითხვები, რამდენად სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა სასამართლომ?

– დიახ, ასეა. აი ეს არის პრობლემა, თორემ, დანარჩენი, შესაძლებელია, კანონის მიხედვით ყველაფერი სწორი იყოს, მაგრამ ნდობა სასამართლოს მიმართ არის განულებული. სულ ამას ვამბობ, რომ სანამ არ შეიცვლება სამართალდამცავი სისტემების მიმართ მიდგომა, სანამ მათი დეპოლიტიზაცია არ მოხდება, სანამ სასამართლო არ გათავისუფლდება პოლიტიკური წნეხისგან, მანამდე ვიქნებით ასეთ მდგომარეობაში.

– მთელი ოპოზიცია აცხადებს, რომ ჯაფარიძის გარშემო ვერთიანდებით, რომ რუსთავში გაიმარჯვოს და კვლავ დაბრუნდეს პარლამენტში. რას ელოდებით ამ საქმისგან?

– მეც რომ რუსთავში ვცხოვრობდე, წავიდოდი და ბადრის მივცემდი ხმას, მაგრამ მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ის შეძლებს გამარჯვებას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ახლა რაღაცნაირად სუსტ მდგომარეობაშია ოპოზიცია. გადალაგდა და რაღაცნაირად ჩაწყნარდა სიტუაცია. შესაბამისად, ახლა რაღაც მუხტის აწევა გართულდება.

– ანუ იმის თქმა გინდათ, რომ რუსთავში გაუჭირდება ოპოზიციურ კანდიდატს გამარჯვება?

– ძალიან გაუჭირდება ბადრის გამარჯვება, თუმცა მე ვუსურვებდი მას წარმატებასაც და გამარჯვებასაც. თუმცა მარტივი ნამდვილად არ იქნება.

– ბატონო მამუკა, გიორგი გახარიას სტრატეგიას როგორ აფასებთ? ის არ ჩნდება, თუმცა აქტიურად მუშაობს, ვნახეთ, რომ საკმაოდ მსხვილ ქალაქებში რამდენიმე საკრებულო აიცალა „ქართულ ოცნებას“? ხელისუფლება კი მას ნაციონალურ მოძრაობასთან ალიანსში ადანაშაულებს. რას იტყვით თქვენ? რა სტრატეგია აირჩია გახარიამ?

– მე რასაც ვხედავ, ძალიან პრაგმატული სტრატეგიაა. ჯერ ერთი, გახარია ცდილობს არ იაქტიუროს და ის ნეგატივი, რაც დღეს ოპოზიციის მიმართ არსებობს, ის არ აიკრას. ამიტომ რთულია მისი დადანაშაულება ვინმესთან გარიგებაში. გნებავთ ეს ბიძინა ივანიშვილი იყოს და გინდაც, მიხეილ სააკაშვილი. რეალურად ის არავისთან არ მუშაობს და არც ჩანს. ის რომ ნაციონალური მოძრაობა მხარს უჭერს ადგილობრივი მმართველობით ორგანოებში, ეს, ჩემის აზრით, ნაციონალური მოძრაობის იძულებითი მდგომარეობიდან გამომდინარეა.

– ბევრი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ მიზანმიმართულად შეატოვა გახარიას გუნდი ნაციონალურ მოძრაობას, რომ მერე სალაპარაკო ჰქონოდა ერთად არიანო. ასეა?

– კი, ნამდვილად ცდილობს ხელისუფლება იმას, რომ გახარია დაადანაშაულოს ნაციონალებთან გარიგებაში, თუმცა ეს რანაირად გამოუვა, ვერ გეტყვით. ჩემი აზრით, ეს ტრიუკი არ გამოვა, რადგან საბოლოო ჯამში, ეს ორი ძალა ერთმანეთს ძალიან ხისტად დაუპირისპირდება. რადგან ისინი იდეოლოგიურად სრულიად განსხვავებულები არიან. გიორგი გახარიას პერსპექტივა ჯერ კიდევ დარჩა. ისიც უნდა ვთქვა, რომ ადრე გაცილებით უფრო პერსპექტიულად ჩანდა. ჩემი აზრით, მას საერთოდ არ უნდა მიეღო მერის არჩევნებში მონაწილეობა. თუ მაინცდამაინც ეს სურდა, ჯობდა, რომელიმე სხვა ქალაქში მიეღო მონაწილეობა, ვიდრე თბილისში. ასე ბევრად უფრო წარმატებული იქნებოდა. ახლა მას ჯერ კიდევ დარჩა ერთგვარი რესურსი იმისა, რომ შეძლოს, თავის გარშემო შემოიკრიბოს რაღაც გარკვეული ნაწილი ოპოზიციის. მომავლისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

– გახარიას გუნდის წევრები აცხადებენ, რომ ისინი აქტიურად ემზადებიან 2024 წლისთვის. გამოუვათ რამე?

– ვუსურვებდი წარმატებას, იმიტომ, რომ მე დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი მისი გუნდის გარკვეული წარმომადგენლების მიმართ. საკმაოდ საინტერესო ახალგაზრდა ხალხია. გახარია ნაჩვევია მუშაობას, საქმის კეთებას, ის არ არის პოლიტიკოსი, ის არის საქმიანი კაცი. მეურნე კაცია, პრემიერი იყო და, შესაბამისად, ძალიან კარგად იცის სიტყვის ფასი. პოლიტიკოსებმა კი დიდად არ იციან სიტყვის ფასი. დღეს რომ ერთს იტყვიან, ხვალ სხვას ამბობენ, ზეგ კიდევ სხვას. ის ვინც ბიზნესშია ნამუშევარი და ვისაც სამეურნეო საქმე აქვს შესრულებული, მის სიტყვას აქვს ძალიან დიდი და მაღალი ფასი. მე, მაგალითად, რაღაცა სისულელის თქმას, მირჩევნია, საერთოდ გავჩუმდე და ხმა არ ამოვიღო. გახარია კლასიკური პოლიტიკოსი არ არის. პირადად მე, მის მიმართ სიმპათიით ვარ განწყობილი, როგორც საქმიანი ადამიანის მიმართ.

– რა ხდება ხელისუფლების შიგნით? სულ იყო საუბარი პრემიერის გაშვებაზე, თუმცა ვნახეთ, რომ მხოლოდ ეკონომიკური გუნდი შეიცვალა და იმის მაგივრად, რომ წასულიყო ღარიბაშვილი, მან პოზიციები კიდევ უფრო გაიმაგრა. საუბარია, რომ ყველა ახალი მინისტრი, პირადად მისი კადრია. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– ერთადერთი ვარიანტი, რომ გამყარდეს პრემიერ-მინისტრის პოზიცია, ეს არის ძალოვანი მინისტრების შეცვლა და ღარიბაშვილის კადრებით ძალოვანი სტრუქტურების დაკომპლექტება. ამის უფლებას მას არ მისცემს არავინ.

– ყველა ძალოვანი მინისტრი, პირადად ივანიშვილის კადრია?

– რა თქმა უნდა, ასეა და ეკონომიკური გუნდის გადაადგილ-გადმოადგილება ბევრს არაფერს ცვლის და არც ღარიბაშვილს უმყარებს პოზიციებს. ითამაშოს ამ კაცმა და გაიხაროს გული.

– ითქვა ისიც, რომ თითქოს ლილუა შვილის გაშვება იგეგმებაო?

– ვერ გეტყვით. თუ ლილუაშვილის ადგილზე სხვა მოვა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისიც ბატონ ბიძინას შერჩეული იქნება და მისი პირადი ნდობით იქნება აღჭურვილი. ღარიბაშვილს რომ მსგავს საქმეებში ხელს არავინ ჩააყოფინებს, ამას რად უნდა ზედმეტი ლაპარაკი.

ბადრი ჯაფარიძეს რუსთავში ნაციონალები მხარს დაუჭერენ, გახარიას პარტია – არა

„ყველა ივანიშვილის პარტიის წინააღმდეგ“ – ნაციონალურმა მოძრაობამ პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ისინი ბადრი ჯაფარიძის კანდიდატურას რუსთავში მხარს დაუჭერენ.

„ლელოს“ ლიდერს მხარს დაუჭერენ „დროა“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“.

– ჩვენ გვაქვს შეხვედრა პარტიაში, რომ დავიგეგმოთ წინასაარჩევნო პროგრამასთან დაკავშირებით. ვისაუბრებთ საარჩევნო გეგმებზე. როგორ ვმოქმედებთ, როგორ ვაძლიერებთ ინფრასტრუქტურას. როგორ ვემზადებით შუალედური არჩევნებისთვის რუსთავსა და გარდაბანში. გვაქვს ოპოზიციონერ კოლეგებთან საუბარი დღეს და ხვალ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რიგმა ოპოზიციურმა პარტიებმა გამოხატეს მხარდაჭერა, რომ ვიყო საერთო კანდიდატი, – თქვა ჯაფარიძემ.

ცნობილია, რომ შეხვედრას გახარიას გუნდი არ დაესწრება და დიდი ალბათობით, ბადრი ჯაფარიძეს პარტია „საქართველოსთვის“ მხარდაჭერა არ ექნება.

„ლელოს“ ლიდერი, ბადრი ჯაფარიძე, რომელიც რუსთავის მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს, ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს. ხელისუფლების ოპონენტი, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ“ სადეპუტატო მანდატი მოუხსნა, ამბობს, რომ შუალედურ არჩევნებში ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვება მნიშვნელოვანია.

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, რუსთავში ბადრი ჯაფარიძის გამარჯვების შანსი ძალიან დიდია. როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან აღნიშნა, ამაზე ხელისუფლების მხრიდან „გამწარებული“ კომენტარებიც მეტყველებს.

– არა თუ ოპოზიციის, არამედ საზოგადოების იმ ნაწილის, ვისაც ყელში ამოუვიდა ის უბედურება, რომელშიც ვცხოვრობთ, საუკეთესო, საერთო კანდიდატი შეიძლება სწორედ ბადრი ჯაფარიძე იყოს მისი პიროვნებიდან, პერსონალური თვისებებიდან, პოლიტიკური ბიოგრაფიიდან გამომდინარე, როგორიც შეიძლება იყოს ყველას შესაძლო წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

ამიტომ, რუსთავში ბადრი ჯაფარიძის გამარჯვების შანსი ძალიან დიდია, ამაზე ყველაზე უკეთ მეტყველებს ხელისუფლების გამწარებული კომენტარები ამ თემაზე. ჩვენ უკვე განვაცხადეთ, რომ გუშინდელი უსამართლობისა და პოლიტიკური ანგარიშსწორების ფაქტზე ჩვენი პასუხი იქნება თავდაუზოგავი ბრძოლა და შრომა რუსთავში გამარჯვებისთვის, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, ოპოზიციურ პარტიებთან მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს კონსულტაციები და ბევრმა უკვე გააკეთა ამ თემაზე კომენტარიც.

– ჩვენ ამ პროცესში ვართ არა მარტო ღია, არამედ მოწადინებული, რომ ეს საერთო გამარჯვება იყოს არა ოპოზიციის ხელისუფლებაზე, არამედ სწორი გზის გამარჯვება არასწორ გზაზე. ჩვენ ამ არჩევნებს გაცილებით ფართოდ ვუყურებთ, ვიდრე ბადრი ჯაფარიძის გამარჯვება და ერთით მეტი პარლამენტის წევრი ჩვენი გუნდიდან, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მიმდინარე წლის 2 აპრილს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარს რუსთავში აირჩევენ. პარლამენტში ადგილი მას შემდეგ გათავისუფლდა, რაც „ქართული ოცნების“ წევრმა ნინო ლაცაბიძემ პარლამენტი რუსთავის მერად არჩევის შემდეგ დატოვა.

15 თებერვალს „ქართულმა ოცნებამ“ სამ ოპოზიციონერ დეპუტატს – ბადრი ჯაფარიძეს, შალვა ნათელაშვილსა და ელენე ხოშტარიას სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა.

ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს პროექტის დახურვის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ – დახურვის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა და პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, გამოვლენილი გამოწვევები და მიღწეული პროგრესი შეაჯამა.

მინისტრის მოადგილემ მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ დისკრიმინაციის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და მადლობა გადაუხადა ევროპის საბჭოს ამ მიმართულებით სამინისტროსთვის აღმოჩენილი უწყვეტი მხარდაჭერისთვის.

ალექსანდრე დარახველიძემ განსაკუთრებით გამოყო უწყების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული მასშტაბური სწავლებები, რამაც გამოძიების ხარისხი მნიშვნელოვნად გაზარდა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა, ევროპის საბჭოს ჩართულობით, უზენაეს სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურასა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ფაქტზე, რომლის საფუძველზეც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიით წარმოება დაინერგა.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა მზაობა გამოთქვეს სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელებაზე.

ევროპის საბჭოს აღნიშნული პროექტი, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით, 2018 წლიდან ხორციელდებოდა. მის მიზანს დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ გამოცდილების გაზიარება, ცნობიერების ამაღლება და საქართველოს კანონმდებლობის ევროპის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია წარმოადგენდა.

ადვოკატი ჯავახიშვილი: „ფოთში ჩვილის გარდაცვალებაზე დაკავებულ დედას ბრალი წარედგინა“

ფოთში, ჩვილის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ დედას ბრალი უკვე წარედგინა. კერძოდ, მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით წარუდგინეს, რაც დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ბრალდებულის უფლებებს საზოგადოებრივი ადვოკატი ცირა ჯავახიშვილი იცავს. მისი თქმით, ბრალდებული გამოძიებასთან თანამშრომლობს.

– შევხვდი ბრალდებულს. მასთან შეხვედრაზე დეტალებს ამ ეტაპზე ვერ მოგაწვდით. ბრალის აღიარებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ვერ გაცნობებთ, სამწუხაროდ, ვიდრე გამოძიება მიმდინარეობს. გეტყვით იმას, რომ ბრალდებული თანამშრომლობს გამოძიებასთან. ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას ახალშობილის გარდაცვალების თაობაზე და ამის შემდეგ შემიძლია ინფორმაცია უფრო ვრცლად მოგაწოდოთ, – განაცხადა ცირა ჯავახიშვილმა.

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო დღეს, 17 თებერვალს, იმსჯელებს.

შეგახსენებთ, 14 თებერვალს ფოთში, დევნილთა დასახლებაში ჩვილის ცხედარი მას შემდეგ ნახეს, რაც საკანალიზაციო მილი გაიჭედა და დასახმარებლად ხელოსანი გამოიძახეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქუჩის გარეშე ოლიგარქიული რეჟიმის დამარცხება შეუძლებელია“

გიორგი ბარამიძე: „მე რომ პარლამენტში ვიყო, განსხვავებულად ვიმოქმედებდი, მაგრამ პატივს ვცემ მეგობრების აზრს“

იაგო ნაცვლიშვილი

როგორ აფასებს „ოცნების“ გადაწყვეტილებას ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის მანდატების შეჩერების თაობაზე? იზიარებს თუ არა ოპოზიციის პოზიციას, როდესაც ისინი „ოცნებას“ სთხოვენ, რომ მათ მიერ ანულირებული სიების გადაწყვეტილება ბათილად იყოს ცნობილი და როგორ უნდა გაგრძელდეს ბრძოლა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საუბრობს.

– როგორ აფასებთ ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის გადაწყვეტილებას. განსაკუთრებით მაინტერესებს თქვენი აზრი ბადრი ჯაფარიძესთან დაკავშირებით, რომელიც ამდენი ხანი იყო პარლამენტში, მუშაობდა და უცებ უთხრეს, რომ უნდა წავიდეს?

– ჩემმა კოლეგებმა ვინც პარლამენტში არიან, ამაზე კარგად ისაუბრეს. ვიზიარებ მათ შეფასებებს და ჩემი აზრით, ყველაზე კარგად თავად ბადრი ჯაფარიძემ თქვა. საქართველო გარეგნულად არა, მაგრამ შინაარსობრივად, უფრო დახვეწილი ფორმებით, მაგრამ შინაარსით ისევ უბრუნდება 30 წლის წინანდელ მდგომარეობას, როდესაც ბადრი ჯაფარიძეს, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე, მოუხდა უფლებამოსილების შეწყვეტა იმის გამო, რომ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. მეორეჯერ, პრაქტიკულად იგივე მდგომარეობა გვაქვს, ოღონდ კულტურულ ფორმებში, უფრო დავარცხნილ და შედარებით ნაკლებად უხეში ფორმებით ხდება იგივე. მაშინ ხალხი ერთმანეთს ავტომატებსა და ზარბაზნებს ესროდა, გადაბუგული იყო თბილისი. ახლა საქართველოს ხელისუფლება უზურპირებული აქვს ეთნიკურად ქართველ, მაგრამ რუს ოლიგარქს. რუსს თავისი მსოფლმხედველობით, მენტალიტეტითა თუ ქონების დაგროვების წესით, ასევე იმ კავშირებითა და გეგმებით, რასაც ახორციელებს საქართველოში პუტინის გეგმის შემსრულებელი ივანიშვილი.

– ბადრი ჯაფარიძე ისევ აპირებს დაბრუნდეს პარლამენტში და ის იქნება შუალედურ არჩევნებში რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატი. როგორ უყურებთ ამ საკითხს და დაუჭერს თუ არა მას მხარს ნაციონალური მოძრაობა?

– საერთოდ მივესალმები ყველა პოლიტიკოსის ბრძოლას და არ შეგუებას ამ რეჟიმთან, რომელიც პუტინის გეგმას ახორციელებს. მას უზურპირებული აქვს ხელისუფლება, რადგან აყალბებს არჩევნებს თავისი მარიონეტული სუსით ცესკოთი, პროკურატურით, სასამართლოთი, ქურდული სამყაროს ჩართვით თუ სხვა. ამ რეჟიმს რომ არ ეგუება, ყველა პოლიტიკოსს პატივს ვცემ და ყველას ბრძოლას მივესალმები, მიუხედავად იმისა ვისთან მაქვს პრინციპულ საკითხებზე თანხვედრა და ვისთან არა.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, დაუჭერს თუ არა მხარს, ამაზე ჩვენ გვექნება საბოლოო კონსულტაციები და ჩვენი წარმომადგენლები გააჟღერებენ ჩვენი პარტიის პოზიციას, ვინც ამ შეხვედრაზე იქნებიან. ეს შეხვედრა დღეს იქნება.

– თქვენმა წარმომადგენლებმა მიმართეს პარლამენტს, რომ ჩახსნილი სიების შეზღუდვა მოხსნან და შესაძლებელი იყოს გასული თუ გარიცხული დეპუტატების ადგილზე მათი ადგილმონაცვლეების შესვლა. ეს რამდენად სწორად მიგაჩნიათ და „ოცნების“ მიმართ ხვეწნას ხომ არ ჰგავს – შემოგვიშვითო?

– მე რომ პარლამენტში ვიყო, ცოტა განსხვავებულად ვიმოქმედებდი. არ ვარ პარლამენტში, ამიტომ პატივს ვცემ ჩემი მეგობრების და თანამებრძოლების პოზიციას, ვინც არიან პარლამენტში წარმოდგენილები.

– პატივს სცემთ, მაგრამ, როგორც მივხვდი, არ ეთანხმებით?

– მე განსხვავებულად ვიმოქმედებდი ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე. იცით, რომ განსხვავებული პოზიცია მაქვს დაფიქსირებული.

– როგორ იმოქმედებდით?

– ამაზე თქვენთან, მე მგონი, 2-საათიანი ინტერვიუ მქონდა და დაგავიწყდათ უკვე?

– არ დამვიწყებია, მაგრამ ჩემ უკან ხომ მკითხველია და აქედან გამომდინარე ვსვამ ხოლმე კითხვებს.

– მე მგონი, ჩემი პოზიცია ამ საკითხზე მთელმა საქართველომ იცის. ბევრჯერ მისაუბრია, რამდენად ღირდა ან არ ღირდა პარლამენტში შესვლა. თვით მიხეილ სააკაშვილთანაც მაქვს დებატი... დებატი არ ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიშამ გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე, მე მქონდა ჩემი განსხვავებული პოზიცია საჯაროდ დაფიქსირებული. იმიტომ, რომ პრინციპული საკითხი იყო და ჩავთვალე, რომ რადგანაც ძალიან პრინციპული საკითხია, გამომეხატა ჩემი აზრი. მით უმეტეს, ეს იყო იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული ნაციონალურ მოძრაობას.

– დღეს როგორ უნდა გაგრძელდეს ბრძოლა?

– დღეს იმ ლოგიკით გრძელდება ბრძოლა, რა ლოგიკითაც გადაწყვიტა ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობამ, რომ შევსულიყავით. შესაბამისად, რაღაცა ლოგიკასა და გზას რომ აირჩევ, მერე მას უნდა მიჰყვე. ჩვენ იმის მომხრე ვიყავით, რომ თანმიმდევრულები ვყოფილიყავით. როდესაც ვამბობდით, რომ არალეგიტიმური პარლამენტი იყო, იქ არ უნდა შევსულიყავით, მაგრამ პოლიტიკური მიზანშეწონილობა კარგად მესმის. მაშინაც გითხარით – ის, რომ ჩემმა პოზიციამ არ გაიმარჯვა, ეს არ ნიშნავს, რომ პატივი არ ვცე უმრავლესობის აზრს. რახან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ჩვენი პარტიის უმრავლესობამ, მე ამ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ და აქედან გამომდინარე ახლა ამ ლოგიკით უნდა განვითარდეს მოვლენები.

აქედან გამომდინარე ის, რაც ჩვენებმა განაცხადეს პარლამენტში, ამას თავისი ლოგიკა აქვს. თუმცა, გასაგებია, რომ „ქართული ოცნება“ ამაზე არ წამოვიდოდა და ეს, ჩემი აზრით, იმთავითვე ნათელი იყო.

– ნაციონალური მოძრაობა მაშინ საუბრობდა და ახლაც იმეორებს ხოლმე, რომ წნეხი უნდა იყოს ყველა ფლანგზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო მეტად გასააქტიურებელია ქუჩა?

– როდესაც ქვეყანა არის ოლიგარქიული ავტორიტარიზმის პირობებში, მაშინ ქუჩის გარეშე შეუძლებელია ამ რეჟიმის დამარცხება. ჩვენ როდესაც ვლაპარაკობთ, რომ არჩევნებს ვითხოვთ და ვადამდელი არჩევნები გვინდა, ეს არ ნიშნავს, რომ ასე დავარცხნილად, ისე, როგორც შვეიცარიაშია არჩევნები, ასე წყნარად მოვიგებთ და ამას მშვიდად დათმობს ეს რეჟიმი ქუჩის გარეშე. არა, ამ რეჟიმს სჭირდება სერიოზული წნეხი და ზეწოლა საზოგადოების მხრიდან – ფიზიკურად ჩვენების საკუთარი პოზიციის. მშვიდობიანად, კონსტიტუციის ფარგლებში, ისე როგორც კანონმდებლობით არის დაშვებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

„საზოგადოების მოთმინებას ცდიან, პუტინის გეგმაა სიტუაციის აფეთქება და სამოქალაქო დაპირისპირება, რაც არ უნდა დავუშვათ“

როდესაც ვამბობთ მშვიდობიანს, ვგულისხმობთ არაძალადობრივს. ეს არაძალადობრივი ბრძოლა არ ნიშნავს უხერხემლობას. ხშირად ამას მეტი ფასი და ძალაც აქვს. არ ვეთანხმები ამ აზრს, რომ არაძალადობრივი აქციები უხერხემლოა და არაფრის მომტანი არ არის. მსოფლიო სახელმწიფოების ისტორია გვაჩვენებს, რომ არაძალადობრივი ბრძოლა ხშირად უფრო ეფექტიანიც კი იყო, ვიდრე სხვაგან მოუტანია შედეგი სხვა ტიპის გამოსვლებს. ამიტომ, მე მშვიდობიანი აქციების მომხრე ვიყავი და ვარ. გვაქვს მწარე გაკვეთილი, რაც მოხდა 30 წლის წინ და ეს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.

ეს უნდა პუტინს, ეს არის მისი გეგმა და ამაზე ხშირად ლაპარაკობს ეს პუტინის გეგმის შემსრულებელი რუსული ოცნების წარმომადგენლები. სინამდვილეში ისინი ცდიან საზოგადოების მოთმინებას, რომ სადამდე გაუძლებს საზოგადოების მოთმინება, როდის აფეთქდება და რაღაცა ისეთი მოხდება, რაც პუტინს სჭირდება, რომ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება მიიღონ. მაგრამ, ვისაც გვაქვს მრავალწლიანი გამოცდილება, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს არ დავუშვათ და მშვიდობიანი ბრძოლით მოვიპოვოთ გამარჯვება, რაც ნიშნავს საქართველოს და მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას ამ რეჟიმის ტყვეობისგან.

„ოცნება“ არ დაუშვებს, რომ ბადრი ჯაფარიძე პარლამენტში დაბრუნდეს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციას სამი ეტაპი აქვს გასავლელი“

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ბატონო ვახტანგ, პარლამენტში განვითარებული მოვლენების შემდეგ ბადრი ჯაფარიძემ გადაწყვიტა, რუსთავში იყაროს კენჭი. როგორ ფიქრობთ, რამდენად იქნება გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი და რა შანსები აქვს?

– საკმაოდ სწრაფად მიღებული გადაწყვეტილება მგონია. ცხელ გულზე მიღებულ გადაწყვეტილებას უფრო ჰგავს. რაც შეეხება ოპოზიციის მხარდაჭერას, ალბათ უმთავრესი ნაწილი მხარს დაუჭერს. უკვე ნაციონალური მოძრაობის წევრებმა კირკიტაძემ, დეკანოიძემ მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს. თუმცა, ეს არ იქნება საკმარისი. ალბათ საჭირო იყო სხვა მოქმედებები. არ ვამბობ, რომ კანდიდატურა არ უნდა დაეყენებინა, ვამბობ სხვაგვარი სვლა იყო საჭირო. პირველი, უცებ, ძალიან ადრე გაიხსნა კარტი და პასუხმაც „ქართული ოცნების“ მხრიდან არ დააყოვნა. ამიტომ ვამბობ, რომ ნაადრევი იყო გახმოვანება.

„ქართულ ოცნებას“ რუსთავში რთულად აქვს მდგომარეობა. ადგილობრივი არჩევნები წააგო. საკრებულო ოპოზიციურია. ამიტომ, ახლა ყველაფერს გააკეთებს, რომ იგივე არ დაუშვას. დაპირისპირების ხარისხი ძალიან მაღალი იქნება. „ოცნების“ მხრიდან მთელი რესურსი იქნება მობილიზებული, რომ ბადრი ჯაფარიძე პარლამენტში არ დააბრუნოს. ასევე, ოპოზიციამ არ უნდა იწვნიოს მორიგი მარცხი. ურთულესი ჭიდილის მოწმენი ვიქნებით. პრობლემები ნელ-ნელა გამოჩნდება.

– გახარიას პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე მხარს არ უჭერენ. თუმცა, იქვე ამბობენ, რომ არჩევნებამდე დიდი დროა. როგორ შეიძლება ეს განცხადება გავიგოთ?

– რომ უკან დასახევ გზას იტოვებენ და მოლაპარაკებები აუცილებლად იქნება. სწორი პოზიციაა. პოლიტიკოსის პოზიციაა. ეს არ არის ნაჩქარევი გადაწყვეტილება, როგორც, მაგალითად, ალეკო ელისაშვილს ჰქონდა. საერთოდ პოლიტიკას არ უყვარს ნაჩქარევი, გაუაზრებელი და გაუთვლელი გადაწყვეტილებები. ამიტომაც ვთქვი, რომ „ლელოს“ მხრიდან სწორი არ იყო ცხელ გულზე ასეთი განცხადების გაკეთება.

– როგორც ჩანს, ჯაფარიძე ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ უფლებამოსილებას შეუწყვეტდნენ და ასე უპასუხა.

– ადამიანურად აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ როგორი დიდიც არ უნდა იყოს ემოციები, პოლიტიკას არ უყვარს ნაჩქარევი, ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილებები. გაუთვლელი გადაწყვეტილებები საკმაოდ ცუდ შედეგს იძლევა.

– შალვა ნათელაშვილის პოზიციაზე რას იტყვით? ის ოპოზიციას, ნაციონალებს, „ლელოს“ პარლამენტის დატოვებისკენ მოუწოდებს.

– მისთვის მანდატი რომ არ ჩამოერთვათ, იგივე განცხადებას გააკეთებდა?! ნათელაშვილი პოზიციებს ცვლის. გასაგებია „ლეიბორისტებს“ ერთგული ამომრჩეველი ჰყავთ, მაგრამ ალბათ მათ ამოწურეს თავი, თავიანთი შესაძლებლობები. თითქოს ამით დაასრულეს პოლიტიკური პროცესი.

– ბატონო ვახტანგ, თუ გამოკლებულ ორ საარჩევნო ოლქს – ბათუმსა და რუსთავს – ოპოზიცია მოიგებს, ამით ფსიქოლოგიურად მაინც შეცვლის რამეს?

– ვერაფერს ვერ შეცვლის. ოპოზიციამ ყველა კარტი გაშალა ისე, რომ არც ერთი კოზირი არ დაიტოვა. ეს იყო შეცდომა. უკეთესია 2024 წლისთვის მოემზადონ და ამაზე ახლავე დაიწყონ მუშაობა.

სამი ეტაპი არის გასავლელი: პირველი, ხელისუფლების მხილების ეტაპი, რომელიც გავლილია და ეს არჩევნებმა დაადასტურა. ოპოზიციამ ჯამში მეტი ხმა აიღო. მეორე ეტაპი: ნდობის მოპოვება, სადაც აქვს ოპოზიციას პრობლემა. მესამე ეტაპი არის ჩანაცვლების ეტაპი. თუ მეორე ეტაპს გადალახავს როგორმე ოპოზიცია, მესამე ეტაპი გაფორმებაა და მეტი არაფერი.

– 2024 წლისთვის მომზადება ახსენეთ. საარჩევნო კოდექსზე მუშაობას გულისხმობთ?

– საარჩევნო კოდექსს ამ მოცემულობით „ქართული ოცნება“ არ შეცვლის. რატომ უნდა შეცვალოს?! არაფერი არ აიძულებს, რომ ეს გააკეთოს. ის იბრძვის ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. თუ შეცვლის, მხოლოდ 2024 წლის გაზაფხულზე და თან სიტუაციას აწონ-დაწონის.

სრულ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და დაბალ საარჩევნო ბარიერზე ხელისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა თუ დაინახავს, რომ მას აწყობს წვრილ-წვრილი პარტიები პარლამენტში და არ აწყობს ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ თუ დაინახავს, რომ ისევ „ნაციონალებთან“ ერთად უნდა დარჩეს, მაშინ არ შეცვლის.

დღეს არსებული პოლიტიკური რეალობა კი ისეთია, რომ ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნები არ იქნება. ამ ოპოზიციის დაძახილზე ვნახეთ, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოდის. რა თქმა უნდა, ღმერთმა დაგვიფაროს და რაღაც საშინელება არ მოხდება. თუ ისე დამძიმდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომ ადამიანები ქუჩებში სტიქიურად გამოვლენ, მაშინ იმ პროცესებს ეს ოპოზიცია კი არ ეყოლება სათავეში, სულ სხვა ხალხი მოვა და ისინი ჩაუდგებიან ამ ყველაფერს სათავეში. ამ შემთხვევაში ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს, მაგრამ არ მგონია, მოქმედი საარჩევნო კოდექსით ეს ხელს აძლევდეს დღევანდელ ოპოზიციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საერთაშორისო ექსპერტების ხელმძღვანელობით, ყალბი დოკუმენტების აღმოჩენის და შემოწმების შესახებ ტრენინგი გაიარეს



შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE) – ინტეგრირებული საზღვრის მართვა (SAFE IBM)“ ფარგლებში, ყალბი დოკუმენტების აღმოჩენისა და შემოწმების შესახებ ტრენინგი ჩაატარა.

სწავლებას საერთაშორისო ექსპერტი – ალექს ვან დუურენი უძღვებოდა, ხოლო გახსნით ღონისძიებას ესწრებოდნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – გურამ დავითაშვილი, საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – ირაკლი თევდორაძე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საზღვრის მართვის პროგრამების უფროსი მენეჯერი – მასიმო რამანზინი და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი – კოლომბ დე მერსი.

სწავლების ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს ისეთი რელევანტური საკითხები, როგორიცაა: ID დოკუმენტები, დამცავი ნიშნები, დოკუმენტების უსაფრთხოების და გაყალბების ახალი მეთოდები, ციფრული ბეჭდვის ტექნიკა, პროფილირება და ა.შ.

ტრენინგის დასრულების შემდგომ, მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2019 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანია საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვის მიმართულებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

„კრემლი ცდილობს, უკრაინის საზღვრიდან ჯარის გამოყვანა დუმის მწვავე განცხადებით გააწონასწოროს“

ამერიკელმა რესპუბლიკელებმა მოამზადეს სანქციების პროექტი „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაზე რუსეთის თავდასხმისა თუ თავდაუსხმელობის მიუხედავად, მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპაში, პოსტსაბჭოთა სივრცესა და მთელ მსოფლიოში მაინც უკიდურესად დაძაბული რჩება.

რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ დონბასის პრობლემა მინსკის შეთანხმებებით უნდა გადაწყდეს. ამასთან, მას სახელმწიფო დუმამ მიმართა დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკების“ აღიარების მოთხოვნით.

შესაბამისი კენჭისყრა რუსეთის ფედერაციის ქვედა პალატაში გაიმართა. გავიდა კომუნისტების ფრაქციის მიერ მომზადებული და იანვარში წარმოდგენილი პროექტი დადგენილების თაობაზე.

„დოიჩე ველე“-ს მიმომხილველი იმასაც ანიჭებს მნიშვნელობას, რომ დუმამ მოიწონა არა მმართველი პარტია „ედინაია როსიას“, არამედ კომუნისტების ვარიანტი დონეცკისა და ლუგანსკის აღიარების შესახებ.

მისი შეფასებით, როგორც წესი, „ედინაია როსიას“ დუმაში შეაქვს კომუნისტებზე უფრო შერბილებული პროექტები და საბოლოოდ ისინი მტკიცდება. ამჯერად უფრო მეტი ხმა დააგროვა კომუნისტების ვარიანტმა. ანალიტიკოსი ამას იმით ხსნის, რომ უფრო რადიკალური ვარიანტი სჭირდებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციას. კრემლი ცდილობს, უკრაინის საზღვრიდან ჯარის გამოყვანა მწვავე განცხადებით გააწონასწოროს, რათა ჯარის გამოსვლა არ აღიქმებოდეს დამარცხებად ან უკან დახევად.

შეგახსენებთ, რომ დუმა ამ უკანონო ნებიჯით თითქოსდა მოსახლეობაზე ზრუნავს. დუმაში აცხადებენ, რომ უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობის“ აღიარება შექმნის პირობებს უსაფრთხოების გარანტიებისათვის და დაიცავს იქაურ მოსახლეობას საგარეო საფრთხეებისაგან, განამტკიცებს მშვიდობასა და რეგიონული უსაფრთხოებისათვის.

ექსპერტების აზრით, თუ უკრაინა უარს იტყვის მინსკის შეთანხმებებზე, კრემლი აამოქმედებს „აღიარების“ ინსტრუმენტს.

რუსეთის წინააღმდეგ ასამოქმედებელი სანქციებიც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. ამერიკელმა რესპუბლიკელებმა წარმოადგინეს კანონპროექტი „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ. ის ეხება უკრაინის მიმართ დახმარებას და რუსეთისთვის ზიანის მიყენებას. კერძოდ, უკრაინას უნდა გამოეყოს 500 მილიონ დოლარიანი დახმარება. აქედან 100 მილიონი მოხმარდება საჰაერო, სარაკეტო და სატანკო თავდაცვას. რუსეთის სანქციებში, სხვა რამესთან ერთად მოიაზრება შეზღუდვები რუსეთის მსხვილი ბანკების წინააღმდეგ.

ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე აქტუალური გახდა ახალი ალიანსების თემა. ზოგიერთ მათგანში შესვლის პერსპექტივა საქართველოსაც აქვს. პირველ რიგში, ესაა კიევი-ვარშავა-ლონდონის ღერძი. შესაბამისი ინიციატივა ლონდონიდანაც წამოვიდა. კიევში ჩრდილოეთის, ბალტიისა და შავი ზღვების აუზების სახელმწიფოების კავშირზე დიდი ხანია ფიქრობენ. უკრაინის მთავრობაში ამბობენ, რომ ნატოსა და ევროკავშირში შეყვანას ვერ დაელოდებიან. ამ მხრივ საქართველო უკრაინის მსგავს მდგომარეობაშია.

თუ რუსეთის სახელმწიფო დუმის მოწოდებას პუტინი დადებითად გამოეხმაურა და უკრაინის ორი ტერიტორია, საქართველოს ორი რეგიონის მსგავსად, აღიარა, ეს სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავს. მოსალოდნელია ამგვარი „აღიარება“ აფხაზეთისა და ცხინვალის რეჟიმებისაგან. ასევე მოსალოდნელია ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის გააქტიურება რუსეთთან მიერთების მოთხოვნით. დე ფაქტო პრეზიდენტმა ბიბილოვმა შესაბამისი პროგრამა უკვე დააანონსა.

„თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, დიდი ალბათობით, ამას საქართველოში შემოჭრაც მოჰყვება“

ვახტანგ მაისაია: „მე ვემხრობი დასავლეთის კურსს. საქართველომ და უკრაინამ ნატოზე უარი არ უნდა თქვან“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

— ბატონო ვახტანგ, ალბათ, დაზვერვაზე დაყრდნობით, უკვე ასახელებენ თარიღებს, სავარაუდოდ, როდის შეიძლება შეიჭრას რუსეთი უკრაინაში. სავარაუდო თარიღია 15-16 თებერვალი. ამ მომენტისათვის როგორია მოვლენების განვითარების სქემა?

— 15-16 თებერვალს შეიძლება ომი არ დაიწყოს. თუ ასეთი გეგმა არის, შეიძლება, მარტის დასაწყისში დაიწყოს. იმ პერიოდში ჰაერის კონდიცია და სხვა ნიუანსები შეიცვლება, რაც აუცილებელია ასეთი ტიპის საზღვაო ოპერაციების დაწყებისთვის. კარგი ხილვადობა უნდა იყოს, რაც კლიმატურ პირობებთანაა დაკავშირებული.

მეორე, რუსებს ჯარებისა და ტექნიკის კონცენტრაცია არ აქვთ მოხდენილი იმ დონეზე, რომ უკრაინაში მთლიანად შეიჭრან და ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები განახორციელონ. ფართომასშტაბიანი ომისთვის ძალების ის კონცენტრაცია, რაც რუსეთმა უკრაინის გასწვრივ გააკეთა, ფართომასშტაბიანი ომის პროგნოზის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ის ძალები, რომლის მობილიზებაც რუსეთმა მოახდინა, შეიძლება კრემლმა გამოიყენოს მანევრირებადი ომის განსახორციელებლად, რაც იმას ნიშნავს, შეიძლება დონბასსა და ლუგანსკში შეიჭრას, დონბასისა და ლუგანსკის რეგიონი მთლიანად დაიკავოს, ანუ ის ნაწილიც დაიკავოს, რომელსაც ახლა უკრაინა აკონტროლებს.

დავუშვათ, იქიდან გადავიდეს ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის რეგიონებში და ეს რეგიონები დაიკავოს, იგივე ანექსირებული ყირიმის მიმდებარე ნაწილების სივრცის დაკავება და საზღვაო ჩრდილოეთით არსებული სივრცის კიდევ გაზრდა-გაფართოება შეიძლება, ანუ აკვატორიის მიმდებარე ტერიტორიებზე, დავუშვათ, ისეთი ქალაქები დაიკავოს, როგორებიცაა, მარიოპული, ნიკოლაევი, ხერსონი და ოდესა.

ამით შეიძლება რუსები გაჩერდნენ, რათა შემდგომში შექმნილი ვითარება, გარკვეულწილად, პოლიტიკური ვაჭრობისა და ზეწოლისთვის გამოიყენონ.

ფაქტობრივად, რუსებმა შეიძლება იგივე სტრატეგია გამოიყენონ, რაც ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენეს აგვისტოს ომის პერიოდში, როდესაც დაიკავეს დასავლეთ საქართველო, შიდა ქართლი და დედაქალაქ თბილისს საფრთხე შეუქმნეს. შემდეგ აიძულეს მიხეილ სააკაშვილი, კაპიტულანტურ შეთანხმებაზე ხელი მოეწერა, რომელიც ჩვენ კარგს არაფერს გვიქადდა.

დაახლოებით იგივე სცენარი შეიძლება გამოიყენონ რუსებმა უკრაინასთან დაკავშირებით, რათა აიძულონ ზელენსკის ხელისუფლება, მათთვის წამგებიან ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს, სადაც ჩაიწერება ის პუნქტები, რაც რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა პეკოვმა ერთერთ სააგენტოსთან ინტერვიუში გააჟღერა — თუ უკრაინა უარს იტყვის ნატოში გაწევრიანებაზე, რუსეთი ამას აპატიებს, უარს იტყვის შეჭრაზე.

თუ არადა, განახორციელებს ისეთ სელექციურ შეჭრას, რომელიც მანევრირებადი ომის სელექციის ფარგლებში ექცევა. მოახდენს იმ პირობების შექმნას, რომ ზელენსკის ხელისუფლება აიძულოს, უკრაინამ ნატოს წევრობაზე უარი თქვას და რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობები განავითაროს, ქვეყანა გადავიდეს ფედერალიზაციის რელსებზე, სადაც, დავუშვათ, ლუგანსკისა და დონბასის რეგიონებს ექნებათ ცალკე სუბიექტების სტატუსი, საუბარია კონფედერაციაზე. ჩანს, ასეთია პუტინის გეგმა.

— ეს შეთავაზება არის რეალურად?

— ასეთი შეთავაზება ამ ეტაპზე არ არის, მაგრამ მე ვვარაუდობ, როგორ შეიძლება განახორციელონ უკრაინაში ინტერვენცია და ამ ინტერვენციას რა შეიძლება მოჰყვეს. ფაქტობრივად, იგივე შეთავაზება გაუგზავნა რუსეთმა აშშსა და ნატოს ცნობილი შეთანხმების პროექტების სახით. რაც ახლა ვთქვი, იგივე ვარიანტი წარუდგინა რუსეთმა ნატოსა და ამერიკას.

— რუსეთი საქართველოში რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა. 1921 წელსაც ასე იყო. ანუ მრავალი მხრიდან შეჭრის სცენარი შეიძლება უკრაინასთან დაკავშირებითაც განმეორდეს?

— დიახ, შეიძლება შეჭრა მოხდეს ლუგანსკის, დონეცკისა და ანექსირებული ყირიმის მხრიდან. პლუს კიდევ მოხდება შავი და აზოვის ზღვების სანაპიროების დაკავება.

— უშუალოდ შავი ზღვა, ფაქტობრივად, დაიკავა.

— დიახ, რა თქმა უნდა. შესაბამისად, თურქეთმაც დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები ჩაკეტა.

— შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს რუსეთი ომისთვის მზად არის?

— თეორიული გათვლებით, რუსეთი მზად არის იმ ომისთვის, რაც მე გითხარით, ანუ მანევრირებადი ომისთვის. სრულმასშტაბიანი ომისთვის რუსეთი ამ ეტაპზე მზად არ არის.

— რუსეთი წვრთნებს ბელორუსთან ერთადაც ატარებს, სადაც ქალაქში ბრძოლის ელემენტებს ამუშავებს, ანუ ქალაქში ბრძოლისთვისაც ემზადება? რუსეთი რით იბრძოლებს, რა შესაძლებლობები აქვს?

— მობილიზებული ჰყავს სპეცდანიშნულების შენაერთები, რუსეთის ეროვნული გვარდიის შენაერთები, გადასროლილია ჩეჩნური შენაერთები „ვოსტოკი“ და „ზაპადი“, რომლებიც ასეთი ტიპის საბრძოლო ოპერაციებისთვის არიან მომზადებული. მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ.

— შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთმა კიევსაც შეუტიოს?

— არა მგონია. როგორც 2008 წელს რუსეთმა თბილისზე წამოსვლისაგან თავი შეიკავა, ასევე პუტინი ახლა კიევის აღებისაგან თავს შეიკავებს. კიევის აღება რთულია. კიევი 3-4 მილიონი მოსახლისაგან შემდგარი ქალაქია, დიდი ქალაქია, თან მდინარე დნეპრის ფორსირება მოუწევს. მათ მეორე მსოფლიო ომში საკმაოდ ძვირი დაუჯდათ დნეპრის ფორსირება.

საბჭოთა არმიამ კიევი აიღო და ნაცისტური გერმანიის ვერმახტის ნაწილებისაგან გაათავისუფლა, მაგრამ საკმაოდ ძვირი დაუჯდა საბჭოთა არმიას კიევის გათავისუფლება, განსაკუთრებით, მდინარე დნეპრის გადალახვა. მდინარე

დნეპრი მტკვარი არ არის. სერიოზული მდინარეა, სიღრმეები, დიდი კალაპოტი აქვს და საწყლოსნო ბარიერს წარმოადგენს თანამედროვე პირობებისთვისაც კი, გარკვეული ტერიტორიების კუთხით. ამიტომ კიევის დაკავება სახუმარო საქმე არ არის.

— შეიძლება რუსეთმა დნეპროპეტროვსკისთვისაც იბრძოლოს?

— დნეპროპეტროვსკი სხვაა. დნეპრსა და ხარკოვს სხვა ამოცანები აქვს. დნეპრი და ხარკოვი რუსულენოვანი მოსახლეობითაა გაჯერებული. რუსებს შეიძლება ამ რუსულენოვანი მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეთ. მეორეც — დნეპროპერტოვსკი და ხარკოვი საკმაოდ მძლავრი სამხედრო ინდუსტრიული ქალაქებია, რომელთა დაკავება უკრაინის მთელი ეკონომიკის პარალიზებას მოახდენს.

რაც ყველაზე საინტერესოა, დნეპროპეტროვსკისა და ხარკოვის დაკავება უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ეროვნული შეიარაღების მიღების საშუალებას მოუსპობს.

მესამე — ფაქტობრივად, ამ ქალაქების დაკავება რუსული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებისთვის იმ პროდუქციის მიღებას ნიშნავს, რომელსაც აღნიშნულ ტერიტორიაზე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოები აწარმოებენ, აღნიშნულ ტერიტორიაზე იუჟმასა და მალიშევის სახელობის ქარხნებია.

— თქვენ თქვით, რომ მთავარი დარტყმის ობიექტი არა მარტო უკრაინაა, არამედ საქართველოც. რა გაფიქრებინებთ იმას, რომ შეიძლება უკრაინასთან ერთად, საქართველოსაც დაარტყან, ან უკრაინის შემდეგ, საქართველოს მოუბრუნდეს?

— შეიძლება უკრაინაზე შეტევის პარალელურად დაგვარტყან. მარტივი ლოგიკაა — თუ უკრაინას კონსტიტუციაში უწერია ნატოში გაწევრიანება, ჩვენ რა, კონსტიტუციაში იგივე არ გვიწერია? რუსეთი უკრაინის ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგია, საქართველოც ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ არ გამოვა? მით უმეტეს, ამ მიმართულებით ორივეს მიმართ საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები აქვთ. ამიტომ ასეთი დასკვნები ლოგიკურია. საქართველოც პროდასავლურადაა განწყობილი და კონსტიტუციითაც აღებული გვაქვს პროდასავლური კურსი ევროატლანტიკური მიმართულებით.

— ვთქვათ, უკან დავიხიეთ და განვაცხადეთ, რომ ნატოში არ შევდივართ, რუსეთისთვის ასეთი განცხადება შემაკავებელი ფაქტორი იქნება?

— მე ვიმეორებ დიმიტრი პესკოვის სიტყვებს, რომელმაც თქვა, რომ უკრაინის მხრიდან ნატოზე უარის თქმის განცხადება სავსებით საკმარისი იქნება, რომ რუსეთმა თავისი აგრესიული ქმედებებისაგან ხელი აიღოს.

— პესკოვის სიტყვები ეს არის, მაგრამ რუსული სამხედრო აზროვნების ანატომია იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ პუტინი ამგვარი განცხადების გამო უკან დაიხევს?

— დიახ, პუტინს კიდევ ერთი ომის წარმოება არ აწყობს. ჩემი აზრით, პუტინი ასეთი ტიპის მესიჯების გაშვებას ელოდება. ესეც საკმარისი იქნება პუტინისთვის.

— საქართველოს ხელისუფლება ამ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს?

— მიჭირს თქმა, როგორ უნდა მოიქცეს.

— შეიძლება, ახლა საქართველოს ხელისუფლებამ თქვას, ნატოში შესვლაზე უარს ვამბობთო? ეს, მინიმუმ, შიდა არეულობას არ გამოიწვევს და მაინც რუსული საქმე არ გაკეთდება?

— მეც ამას ვამბობ. ასეთია რუსეთის ულტიმატუმი, რაც ცუდია. მე დასავლურ მიმართულებას ვემხრობი. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ დასავლეთთან. დასავლეთთან ურთიერთობის მიმართულებით უნდა გავაქტიურდეთ, რომ ჩვენ ჩვენი დღის წესრიგი შევიტანოთ საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ დღის წესრიგში, რადგან თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, დიდი ალბათობით, ამას საქართველოში შემოჭრაც მოჰყვება. ჩვენ და უკრაინა ერთი საგარეო კურსის მატარებლები ვართ. ბუნებრივია, ეს პუტინმაც კარგად იცის.

დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების რუსეთთან ურთიერთობა მაგონებს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ურთიერთობას რუსეთთან. 1920-21 წლებში საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალა სოციალ-დემოკრატები რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას ადგა. ყველანაირად ცდილობდა არ დაეძაბა ურთიერთობები, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს არგაღიზიანების პოლიტიკამ მაინც ვერ უშველა. ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები შემოიჭრნენ და საქართველოს კომუნისტებიც ზედ მიაყოლეს და აქ რუსეთის კომპარტიის ქართული ფრთის წარმომადგენლები ჩამოიყვანეს.

— თუმცა, აშკარა გაღიზიანებაც, ალბათ, არ ივარგებს.

— რა გაღიზიანება? ჩვენ ხომ არ ვაპირებთ რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლას და მისი ტერიტორიის ოკუპაციას. ჩვენთან რუსულენოვანი მოსახლეობა არ იდევნება. მათგან ამით განვსხვავდებით. რუსებს აქ არავინ ხელს არ ახლებს. პირიქით, ჩვენთან ძირითადად რუსულენოვანი ტურისტები ჩამოდიან.

მე მგონი, რუსებს საქართველოში შემოჭრის მოტივაცია, ფორმალური საბაბი არ გააჩნიათ, მაგრამ ბოლოს საქართველოს ისეთი ულტიმატუმი წამოუყენეს, რომელსაც არავითარი საფუძველი არ აქვს — რუს მოქალაქეებს ავიწროვებთო. ასევე, ანტირუსული ისტერიის შეწყვეტა მოგვთხოვეს. მთავარი იყო საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა.

როგორც რუსი ბოლშევიკები არ ენდობოდნენ სოციალ-დემოკრატებს, ასევე რუსები არ ენდობიან დღევანდელ მმართველ პოლიტიკურ ძალას და მის შეცვლას მოინდომებენ.

დოროყაშვილის ადვოკატი თავხელიძე: „დაიკითხნენ ახალი მოწმეები“

ყოფილი მეუღლის, ნელი დოროყაშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული ჩოგბურთელის, ნიკოლოზ ბასილაშვილის მეზობლის ჩვენებით, მასზე გამოძიების ეტაპზე ჩვენების მიცემის იძულებას ჰქონდა ადგილი.

როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ნელი დოროყაშვილის ადვოკატმა ანა თავხელიძემ განმარტა, აღნიშნულთან დაკავშირებით მოწმეს, რომელიც გუშინ, 16 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიკითხა, თითქმის 2 წლის განმავლობაში არც ერთი უწყებისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია.

– დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების სანდოობა გარკვეულ ნაწილში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მათი შინაარსიდან გამომდინარე, გარკვეულ დეტალებთან დაკავშირებით უზუსტობა იყო გამოძიებისთვის მიწოდებულ ინფორმაციასთან მიმართებით. თუმცა, ის ძირითადი გარემოებები, რაზეც დაზარალებული საუბრობდა, მათ დაადასტურეს.

მაგალითად, ის, რომ სრულიად უცნობმა ადამიანმა სთხოვა მათ ბასილაშვილების სახლიდან გარიდება, ის, რომ ბავშვი ტიროდა. ასევე, დადასტურდა ის ფაქტიც, რომ ნელი დოროყაშვილი მანქანით მგზავრობის დროს 112-ში დარეკვას ცდილობდა. იქიდან გამომდინარე, რომ მომხდარიდან დიდი დრო არის გასული, მათ გარკვეული დეტალები ვერ გაიხსენეს. რაც შეეხება ჩვენების მიცემის სავარაუდო იძულებას, ამ ნაწილში დარწმუნებული ვარ, შესაბამისი რეაგირება მოჰყვება პროკურატურის მხრიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიკოლოზ ბასილაშვილის მეზობელმა ისაუბრა, თუმცა მას შემდეგ 2 წელია გასული და მსგავსი რამ არც გამოძიებისთვის და არც ნებისმიერი სხვა უწყებისთვის არ მიუწოდებია და მხოლოდ ახლა განაცხადა სასამართლოში.

ანა თავხელიძე

მან თქვა, რომ როცა გამომძიებელი გამოკითხვას აწარმოებდა, პროკურორს ჰქონდა გამომძიებელთან კომუნიკაცია და კითხვებს სვამდა გარკვეული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით. პროკურორმა გააკეთა განმარტება, რომ ის უბრალოდ დამაზუსტებელ კითხვებს სვამდა, რომ დეტალური ინფორმაცია მიეღოთ მოწმისგან და ხელმეორედ მისი გამოკითხვა საჭირო არ გამხდარიყო. თუმცა, მოწმემ ეს განსხვავებულად აღიქვა, – განაცხადა თავხელიძემ.

ცნობისთვის, საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვნის თანდასწრებით. მოგვიანებით პროკურატურამ ბასილაშვილს ბრალდება დაუზუსტა და მას ძალადობის რამდენიმე ეპიზოდთან ერთად, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც ედავებიან.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს. სასამართლომ ბასილაშვილის აღკვეთის ღონისძიების საკითხზე იმსჯელა და ის 100.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

პოლიციამ იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისთვის 8 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის 8 პირი დააკავეს. ინფორმაციას უწყების პრესსამსახური ავრცელებს.



მათი ინფორმაციით, სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა.

„ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ი. დააკავეს. დაკავებულის ბინის ჩხრეკისას, პოლიციამ „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 14 ვაზნა ამოიღო.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის, 1984 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ს.ო. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, „ტტ“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები და 5 მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1995 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ა.მ., ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულის ავტომობილის ჩხრეკისას, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 9 ვაზნა ამოიღო.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ანალოგიური დანაშაულისთვის, 1985 წელს დაბადებული ა.ჯ. დააკავეს. პოლიციამ მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს პისტოლეტი, რევოლვერი და 25 საბრძოლო ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1978 წელს დაბადებული რ. კ. და 1969 წელს დაბადებული კ.კ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა რ.კ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 1 ცალი „სმიტ ვენსონის“ მოდელის რევოლვერი და 23 ცალი საბრძოლო ვაზნა, ხოლო კ.კ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „ჩეზეს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.კ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 7 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ფაქტზე, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიულად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, საგურამოში, 1988 წელს დაბადებული კ.ლ. დააკავეს.

დაკავებულის ბინის ჩხრეკისას, პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო: პისტოლეტი მჭიდით, 2 ვაზნა და მცირეკალიბრიანი შაშხანის 10 ვაზნა.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები საქმეზე არაკონსტიტუციური ნორმების გამოყენებას ასაჩივრებენ

მსჯავრდებული დეკანოზის, გიორგი მამალაძის ადვოკატები, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე დეკანოზის საქმეზე არაკონსტიტუციური ნორმების გამოყენებას საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებენ.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ადვოკატი გიორგი ფანცულაია აცხადებს. მისი თქმით, ისინი რამდენიმე ნორმასთან ერთად, ასაჩივრებენ ე.წ. ციანიდის საქმეზე გაუთქმელობის ვალდებულებასაც.

– „ციანიდის“ საქმეზე ადვოკატები რამდენიმე კონსტიტუციონალისტთან ერთად ვასაჩივრებთ იმ არაკონსტიტუციურ ნორმებს, რომელიც პროკურატურამ და სასამართლომ გამოიყენა დეკანოზ გიორგი მამალაძის სისხლის სამართლის საქმეზე ე.წ. გაუთქმელობის ვალდებულების სახით და რომლითაც ჩვენ შეგვეზღუდა როგორც დაცვის ეფექტური განხორციელების უფლება გამოძიების ეტაპზე, ასევე, სასამართლო ეტაპზეც.

ეს არ მოიცავს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ საჯაროდ საუბარი გვეკრძალებოდა, ეს მოიცავს ასევე, იმ ნაწილსაც, რომ ჩვენ ვერ ვახერხებდით რიგი მტკიცებულებების მოპოვებას და საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების შესრულებას, რაც ხელს გვიშლიდა იმაში, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის უფლებები სათანადოდ დაგვეცვა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მოთხოვნაა, არაკონსტიტუციურად იქნას ცნობილი აღნიშნული ნორმები და აქვე, მინდა განვაზოგადო თემა და დავამატო, რომ ეს არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის, დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმისათვის. ნებისმიერ ისეთ საქმეზე, სადაც სახელმწიფოს ინტერესი არის მაღალი და დაცვის უფლებას არაერთ რეზონანსულ საქმეზე ზღუდავენ სახელმწიფოს წარმომადგენლები უკანონოდ, ყველა ასეთ საქმეზე გავრცელდება, თუკი, ჩვენ დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეზე აღნიშნულის წარმოებას წარმატებით დავასრულებთ, – განაცხადა ფანცულაიამ.

აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით ინფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლომაც გაავრცელა.

„2022 წლის 16 და 17 თებერვალს, 12:00 საათზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართება არსებითი განხილვის სხდომა საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1264).

კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ გამხდარი ნორმები ადგენს გამომძიებლის/პროკურორის უფლებამოსილებას, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს აუკრძალოს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მონაცემების გახმაურება, ხოლო გაფრთხილებული პირის მიერ ხსენებული მონაცემების გამჟღავნება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მოსარჩელეები განმარტავენ, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვისას გამომძიებლის/პროკურორის სახელმძღვანელო სტანდარტი, რაც მათ, ფაქტობრივად, განუსაზღვრელ დისკრეციას ანიჭებს.

შესაბამისად, მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმების საფუძველზე შესაძლებელია, გამოძიებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება აეკრძალოთ, რაც მათი კონსტიტუციური უფლებების დარღვევას იწვევს.

გარდა ამისა, მოსარჩელეები არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ სასამართლო სხდომის დახურვის წესს. ასევე, ბრალდებულისათვის პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობას.

საქმეს განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 201-206 მუხლების შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებით, არსებითი განხილვის სხდომა ზეპირი მოსმენის ფორმით ჩატარდება დისტანციურად, ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

დისტანციური სასამართლოს სხდომა გადაიცემა პირდაპირი ტრანსლირების გზით საკონსტიტუციო სასამართლოს იუთუბ არხზე“ – ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საგამოძიებო სამსახურს კარლო კაციტაძე უხელმძღვანელებს, პერსონალურ დაცვას — ლელა ჯანაშვილი

პარლამენტმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურების ხელმძღვანელები აირჩია.

საგამოძიებო სამსახურს უხელმძღვანელებს კარლო კაციტაძე, ხოლო პერსონალური მონაცემების დაცვის უწყებას – ლელა ჯანაშვილი.

ამ დრომდე კაციტაძე გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი იყო.

აღნიშნული ორი უწყება მას შემდეგ შეიქმნა, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დაშალეს. ლონდა თოლორაია სახელმწიფო ინსპექტორად საქართველოს პარლამენტმა 6 წლის ვადით 2019 წელს აირჩია. მის კომპეტენციაში შევიდა სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება, ასევე, პერსონალური მონაცემების დაცვა და ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა კანონიერებაზე კონტროლი.

გასული წლის დეკემბერში „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი დაარეგისტრირა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნაცვლად, ორი ახალი უწყების – სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შექმნას. მმართველ პარტიაში ამბობენ, რომ უწყების გაყოფა მის გაძლიერებას უკავშირდება.

კანონპროექტი დაჩქარებული წესით მიიღეს. სახელმწიფო ინსპექტორი და მისი მოადგილეები თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ. ლონდა თოლორაიას უფლებამოსილება პირველ მარტს ეწურება. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა როგორც სახელმწიფო ინსპექტორმა, ლონდა თოლორაიამ, ისე სახალხო დამცველმა.

სახელმწიფო ინსპექტორს მიაჩნია, რომ მმართველმა გუნდმა „დამოუკიდებლობისთვის“ დასაჯა. ოპოზიციაში კი აცხადებენ, რომ უწყების დაშლა მიხეილ სააკაშვილის საქმეს უკავშირდება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 7 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს სააკაშვილის ვიდეოების გავრცელების გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა, რაც, ჯამში, 2.500-ლარიან ჯარიმას გულისხმობს.

ინსპექტორის აპარატმა პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული ვიდეოები, სადაც ჩანს, რომ სააკაშვილი საკვებ დანამატს იღებს, ყოფილი პრეზიდენტის ღირსების შელახვად მიიჩნია. თუმცა სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე ინსპექტორის ჯარიმა სასამართლომ გააუქმა.

ახალციხის სასამართლომ ო.ნ. არასრულწლოვანთან ძალადობრივ სექსში დამნაშავედ ცნო

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სრულად გაიზიარა ახალციხის რაიონულმა სასამართლომ და წინასწარი შეცნობით თოთხმეტ წელს მიუღწეველი პირის მიმართ ძალადობის მუქარით, სექსუალური ხასიათის ქმედების ჩადენის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, ბრალდების მხარის მიერ, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ო.ნ.-მ ძალადობის მუქარით და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, არასრულწლოვნის მიმართ რამდენჯერმე განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედებები.

„ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ო.ნ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩადენილი ძალადობის მუქარით და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით) (სამი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საქართველოს პროკურატურა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე უმკაცრეს სისხლის სამართლის პოლიტიკას ახორციელებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

ზელენსკი: „ჩვენი საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანას ჯერჯერობით ვერ ხედავთ“

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი აცხადებს, რომ მათი საზღვრებიდან რუსეთის ჯარის გაყვანას ჯერჯერობით ვერ ხედავენ.

– გულწრფელად გითხრათ, ვრეაგირებთ იმ რეალობაზე, რაც გვაქვს და ჯერჯერობით ვერ ვხედავთ ჯარის გაყვანას, ჩვენ ამის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ გვესმის, – განაცხადა ზელენსკიმ ბიბისისთან საუბარში.

მისი თქმით, როდესაც ჯარებს გაიყვანენ, „ამას ყველა დაინახავს, მაგრამ ახლა ეს მხოლოდ განცხადებებია“.

ზელენსკიმ ასევე ხაზი გაუსვა, რომ ყველა ნორმალური ადამიანი ელოდება დეესკალაციას.

– ყველა ნორმალური ადამიანი ელის დეესკალაციას. რაც შეეხება საფრთხეს, არაერთხელ მითქვამს, რომ ნებისმიერ საფრთხეს მშვიდად ვხვდებით, რადგან ეს ყველაფერი გუშინ არ დაწყებულა. ეს უკვე მრავალი წელია ხდება, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

პესკოვი: „დონეცკის და ლუგანსკის აღიარება მინსკის შეთანხმებებს არ შეესაბამება“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მხედველობაში მიიღო სახელმწიფო სათათბიროს თხოვნა თვითგამოცხადებული დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების აღიარების შესახებ, მაგრამ ასეთი ნაბიჯი არ შეესაბამება მინსკის შეთანხმებებს.

ამის შესახებ კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

– პრეზიდენტმა მიიღო თხოვნა, რეაგირება მოახდინა მასზე, მხედველობაში მიიღო, მაგრამ აღიარება არ შეესაბამება მინსკის შეთანხმებებს, – აღნიშნა პესკოვმა.

მისი თქმით, სახელმწიფო სათათბიროს მოთხოვნა „ნამდვილად არის ძალიან მკაფიო ნიშანი, რომელიც მიუთითებს დეპუტატების განწყობაზე და საზოგადოებრივ აზრში გაბატონებულ თვალსაზრისზე“, მაგრამ პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავარია სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში სიტუაციის მოგვარების ხელშეწყობა, რაც შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ „მინსკის ღონისძიებათა პაკეტის“ განხორციელებაში ყოველმხრივი წვლილის შეტანით.

– სწორედ ამაზე გაამახვილებს ყურადღებას პრეზიდენტი, – განაცხადა პესკოვმა.

ყირიმში წვრთნები დასრულდა და რუსი ჯარისკაცები მუდმივი დისლოკაციის ადგილს უბრუნდებიან

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ყირიმში სამხედრო წვრთნები დასრულდა და მასში მონაწილე ქვედანაყოფები მუდმივი დისლოკაციის ადგილებს უბრუნდებიან.

„სამხრეთის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფებმა, ყირიმის ნახევარკუნძულის საწვრთნელ მოედანზე ტაქტიკურ წვრთნებში მონაწილეობა დაასრულეს, სარკინიგზო ტრანსპორტის საშუალებით თავიანთი მუდმივი დისლოკაციის პუნქტებისკენ მიემართებიან“ – აცხადებენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროში.

15 თებერვალს რუსეთმა განაცხადა, რომ უკრაინის საზღვრებთან მობილიზებულ ჯარისკაცების ნაწილს, რომელმაც წვრთნებში მონაწილეობა დაასრულა, თავიანთ ბაზებზე აბრუნებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გუბანოვა ოლიმპიადაზე ათეულში მოსახვედრად იბრძვის



პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობას შეუდგა საქართველოს მოციგურავეთა ნაკრების წევრი ანასტასია გუბანოვა, რომელმაც მოკლე პროგრამაში მსაჯებისგან 65.40 ქულა დაიმსახურა და 30 მონაწილეს შორის მე-10 საფეხური დაიკავა, რაც უდავოდ კარგი შედეგია.

თავისუფალ პროგრამაში საასპარეზოდ საუკეთესო 24 მოციგურავეს შორის გასვლა იყო საჭირო, რაც ანასტასია გუბანოვამ შეძლო კიდეც. მას მორიგი გამოცდის ჩაბარება 17 თებერვალს მოუწევს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლის, კამილა ვალიევას გამო, რომელმაც 7 თებერვალს გუნდური ჩემპიონობა მოიგო, მაგრამ ჯერ მედლები არ გადაუციათ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და ციგურაობის საერთაშორისო კავშირმა გამონაკლისი დაუშვა და პეკინში თავისუფალ პროგრამაში 24-ის ნაცვლად 25 მოციგურავე იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ 25 დეკემბერს რუსეთის ჩემპიონატზე ვალიევას დოპინგ-ტესტირებისას აკრძალულ პრეპარატ ტრიმეტაზიდინზე დადებითი პასუხი აღმოაჩნდა. 8 თებერვალს რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტომ ვალიევა დროებით ჩამოაშორა ოლიმპიურ სარბიელს, 9 თებერვალს კი გადაწყვეტილება შეცვალა.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, ციგურაობის საერთაშორისო კავშირმა და მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტომ ვალიევას დროებით ჩამოშორებაზე გადაწყვეტილების გაუქმება გაასაჩივრა.

14 თებერვალს სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ ვალიევას ოლიმპიურ თამაშების ქალთა ერთეულებში გამოსვლის უფლება მისცა.

ასევე ითქვა, რომ თუ რუსი მოციგურავე საუკეთესო 24-ში მოხვდებოდა, თავისუფალ პროგრამაში ერთით მეტ სპორტსმენს დაუშვებდნენ. ამასობაში კი, რუსმა მოციგურავემ 82.16 ქულით საუკეთესო შედეგი აჩვენა.

პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მედლების კომპლექტი სამთო მოთხილამურეებმა სლალომშიც გაითამაშეს.

სხვა სპორტსმენებთან ერთად ტრასაზე სოსო ჯაფარიძეც დაეშვა. ქართველმა მოთხილამურემ პირველი დაშვებისას ტრასის გავლას 1.02,02 წუთი მოანდომა და ფინიშის ხაზი 41-ე შედეგით გადაკვეთა. გაცილებით უკეთ გამოვიდა მეორე ცდაზე – 55.87 წამი და 30-ე შედეგი.

ქართველმა ოლიმპიელმა ორი დაშვების ჯამში 1.57,89 წუთი აჩვენა და 32-ე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ სარბიელზე 88 მონაწილე წარდგა და აქედან ტრასა მხოლოდ 45-მა მოთხილამურემ გაიარა.

ერიკსენი მოედანს დაუბრუნდა

8-თვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, დანიელი ვარსკვლავი, კრისტიან ერიკსენი მოედანს დაუბრუნდა. ეს მის 30-ე დაბადების დღეს დაემთხვა. ერიკსენმა ახალი კლუბის, ბრენტფორდის მაისურით ამხანაგურ მატჩში საუთჰენდ იუნაიტედის წინააღმდეგ, იმ მძიმე შემთხვევის შემდეგ პირველად ითამაშა.

სუსხიან, წვიმიან ამინდში მასპინძლებმა 3:2 მოიგეს და ერთი გოლი ერიკსენის პასით გავიდა. როგორც კლუბის ვებ-გვერდი წერს, დანიელი შუახაზელი მოედნის ცენტრში საკმაოდ დატვირთული იყო. ბევრს მოძრაობდა და რამდენჯერმე ხიფათიც შეუქმნა მეტოქის კარს. ერთი საათი გაატარა მინდორზე, მერე კი ლუის გორდონმა შეცვალა.

არადა, 8 თვის წინ, ევრო 2020-ის პირველი მატჩის დროს, ფინელების წინააღმდეგ, მას გული გაუჩერდა. ექიმებმა და თანაგუნდელებმა პირველი დახმარება აღმოუჩინეს. შემდეგ ჰოსპიტალში გადაიყვანეს და გულში კარდიოდეფიბრილატორი ჩაუყენეს. აპარატი, რომელიც გულის მუშაობას აკონტროლებს და საჭირო შემთხვევაში ელექტრონულ იმპულსებს იძლევა. თითქოს მისთვის კარიერა დამთავრდა. გულში აპარატჩადგმული კაცი, აბა, ვისღა სჭირდებოდა, მაგრამ კერკეტი აღმოჩნდა და დაბრუნდა...

გუნდებში მამუკა მოიგო, პირადში — ბითაძემ

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ქართული დერბი შედგა – სანდრო მამუკელაშვილის მილუოკი ბაქსი შინ გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსს დაუხვდა და 128:119 მოუგო.

საბოლოოდ მილუოკი თუ უკეთესი იყო, ქართველ კალათბურთელთა დუელი ბითაძემ მოიგო.

გოგა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 25:14 წუთში გუნდს 12 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი შესძინა. ბითაძემ 6-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამქულიანი გააცუდა, 8-დან 4 საჯარიმო გამოიყენა. პასივში ერთი დაკარგვა ჰქონდა და ოთხი პერსონალური ჯარიმა მიიღო.

მამუკელაშვილმა პარკეტზე მხოლოდ 10.20 წუთი დაჰყო და საკუთარ გუნდს 6 ქულითა და 2 მოხსნით შეეწია. ქართველმა კალათბურთელმა 3-ვე ორქულიანი ჩააგდო.

მილუოკიმ 36 მოგებითა და 23 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციის მე-3 ადგილზე აინაცვლა, ხოლო ინდიანას 19 მოგების წილ 40 მარცხი აქვს და მე-13 ადგილზე დარჩა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

სათვალთვალო კამერების მაღაზიის მძარცველს სათვალთვალო კამერით მიაგნეს

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ ნეშვილში ბოროტმოქმედმა სათვალთვალო კამერების მაღაზია გაქურდა და სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ვიდეოს წყალობით ჩავარდა.

სათვალთვალო კამერების დამყენებელი კომპანიის თანამშრომლები სამსახურში მივიდნენ და ნახეს, რომ ბოროტმოქმედს გაერღვია ღობე, შეეღწია მაღაზიაში და ოფისი გაექურდა. საერთო ჯამში, მან ოფისიდან 20 ათასი დოლარის მოწყობილობა გაიტანა.

კომპანიის მფლობელებმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ნახეს და ისინი პოლიციას გადასცეს. პოლიციელებს რამდენიმე საათი დასჭირდათ დამნაშავის იდენტიფიცირებისთვის, საბოლოოდ კი მძარცველს მიაგნეს და დააპატიმრეს.

– უსაფრთხოების დაცვის საკითხის უზრუნველყოფაში გვეხმარება კამერების კარგი სინათლის მგრძნობელობა და მათი მაღალი ხარისხი. რაც მეტი დეტალი გაქვთ, მით მეტი ინფორმაციის გადაცემას შეძლებთ, – აღნიშნა კომპანიის ტექნიკურმა მრჩეველმა ბრენდონ რასელმა.

ამერიკელმა ნახევარი ქვეყანა ველოსიპედით შემოიარა

ნიუ-იორკელი 52 წლის ბობ ბარნსი ამერიკის შტატების დედაქალაქებში ველოსიპედით მოგზაურობს. ის 50-ივე შტატის მონახულებას გეგმავს. ამ დროისთვის მან 26 დედაქალაქის მონახულება მოასწრო. მათ შორის, ბოლო ოკლაჰომასიტი იყო.

ბობი საკუთარ შთაბეჭდილებებს ყველა შტატზე ფეისბუქში საკუთარ გვერდზე აზიარებს. ამ დროისთვის მოგზაური ოკლაჰომას შტატში საკუთარი მიზნის გზის ნახევარზე იმყოფება. მან ადგილობრივები დაახასიათა, როგორც მეტად მშვიდები და გულუხვები. როდესაც ბარნსი ღამეს ათევდა კარავში, ვიღაც მივიდა და დაინტერესდა, შიგნით იმყოფებოდა ვინმე თუ არა. ის შეშინდა, რომ პოლიციელები იყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, ორი მოზარდი დაინტერესდა იმით, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა. მათ მოგზაურს სამი შეკვრა საკვები და ოდეალა მიუტანეს.

– აქ მზად არიან დაგეხმარონ, თუნდაც ეს სრულიად არ გჭირდებოდეს, – აღნიშნა მოგზაურმა. მან ასევე დაამატა, მისი აზრით, ამერიკაში ყველა ერთნაირად კეთილი და დიდსულოვანია.

მამაკაცი მოგზაურობას და სოციალურ ქსელებში საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარებას აგრძელებს.

მაიმუნებმა ხუთი წლის გოგონა მოკლეს

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში გარეულმა მაიმუნებმა პატარა გოგონა მოკლეს.

აღნიშნული ინციდენტი ქალაქ ბარელის მახლობლად მდებარე სოფელში მოხდა. მაიმუნები თავს დაესხნენ ბავშვებს, რომლებიც მდინარესთან თამაშობდნენ. მოზრდილებმა ბავშვების ყვირილი გაიგონეს და დასახმარებლად გაიქცნენ. მათ ცხოველების გაყრა მოახერხეს, მაგრამ მაიმუნებმა მანამდე ხუთი წლის გოგონას, სახელად ნარმადასთვის სერიოზული დაზიანებების მიყენება მოასწრეს. ბავშვი ადგილობრივ საავადმყოფოში დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვისგან გარდაიცვალა.

ნარმადას მამის თქმით, მაიმუნების თავდასხმას ადრეც ჰქონია ადგილი, თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ მათთან ძალიან ახლოს მიდიოდნენ.

– ამ ჯერზე კი მაიმუნები მეტად აგრესიულები იყვნენ. მათი ნაკბენები ჩემს გოგონას მთელ სხეულზე აღენიშნებოდა, – ამტკიცებს ბავშვის მამა.

სოფლის მცხოვრებლებმა პოლიციას მაიმუნებზე ნადირობის გამოცხადება მოსთხოვეს, რაშიც მათ ადგილობრივი სატყეო მეურნეობა დაეხმარება. დაღუპული ბავშვის ოჯახი ხელისუფლებისგან კომპენსაციას მიიღებს.

თანასოფლელებმა თხის გამო ნიანგზე შური იძიეს

პაკისტანის პროვინცია სინდის ქალაქ მირპურ-ხასის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებლებმა მოკლეს ნიანგი, რომელმაც მათი თხა შეჭამა.

ქალაქიდან 12 კილომეტრში მდებარე სოფლის მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ მათ თხაზე თავდამსხმელ ნიანგზე შური იძიეს და მოკლეს.

– რეპტილიამ ჩვენი თხა მოკლა. ჩვენ კი ის ნაჯახით მოვკალით, – განმარტა საკუთარი საქციელი სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა.

შემთხვევის ამსახველ ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ მიჰყავთ სხვა სოფელში საგულდაგულოდ გაკოჭილი რეპტილია.

– ჩვენ მას მიწის მეპატრონეს გადავცემთ და ამისთვის ჯილდოს მივიღებთ, – განმარტა მამაკაცმა.

იაგუარისა და კაიმანის სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს

ამერიკელმა ბიოლოგმა ებიგეილ მარტინმა მოახერხა, ვიდეოზე გადაეღო იაგუარისა და სათვალეებიანი კაიმანის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება ბრაზილიის პანტანალის რეგიონში.

მოზრდილი იაგუარი, სახელად კინგ ჯურუ, ნაპირიდან უთვალთვალებდა მდინარეში მყოფ რეპტილიას, შემდეგ მომენტით ისარგებლა, თავს დაესხა და მღვრიე წყალში გაუჩინარდა.

რამდენიმე წამის შემდეგ კინგ ჯურუ ისევ გამოჩნდა წყლის ზედაპირზე, კბილებში კაიმანის თავი ჰქონდა მოქცეული. რეპტილიისთვის ბოლოს მოსაღებად იაგუარმა მსხვერპლი იქვე ბუჩქებში წაათრია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ასაკობრივმა ნაკრებებმა მეტოქეები გაარკვიეს, 20 წლამდელებს თბილისი უმასპინძლებს

გერმანიის ქალაქ ფრეზინგში კალათბურთში ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების წილისყრა გაიმართა.

მოგეხსენებათ, საქართველოს დედაქალაქი 2022 წლის 15-24 ივლისს ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონს უმასპინძლებს და ჩვენი ინტერესიც, ცხადია, უმეტესწილად ამ ასაკზეა მიპყრობილი.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს იქნება ევროპის ჩემპიონატის წინ უდიდეს გამოცდა; მეორეც – ცხადია, ამ დრომდე უნდა მოესწროს კალათბურთის დარბაზის მშენებლობა.

წილისყრას საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ვლადიმერ ბოისა ესწრებოდა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა პროცესში და ჯგუფებში რამდენიმე ნაკრებს ადგილიც მიუჩინა.

თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში მონაწილეობას 20 ქვეყნის ნაკრები მიიღებს. შეიქმნა ხუთი გუნდისგან შემდგარი ოთხი ჯგუფი. თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო გავა, რომლებიც საუკეთესო სამეულში მოსახვედრად ბრძოლას მეოთხედფინალიდან გააგრძელებენ. სწორედ 3 საუკეთესო ნაკრებს ერგება ევროპის ჩემპიონატის ელიტარული, ა დივიზიონის საგზური.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ჯგუფში შვედეთთან, ჩრდილოეთ მაკედონიასთან, კოსოვოსა და ავსტრიასთან ერთად მოხვდა.

ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონი საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება და საქართველოსა და სხვა ქვეყნებთან ერთად მასში მონაწილეობას მიიღებენ საკმაოდ ძლიერი სერბეთის, ლატვიისა და პოლონეთის ნაკრებები.

ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონი რუმინეთის ქალაქ ორადეაში 2020 წლის 29 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ნიდერლანდებთან, ბოსნიასთან, ბულგარეთთან, ნორვეგიასთან და კოსოვოსთან ერთად მოხვდა.

ბ დივიზიონში 24 გუნდი ასპარეზობს, რომლებიც ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ. 2-2 საუკეთესო მერვედფინალში გავა და ა დივიზიონში გადასასვლელი საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

16-წლამდელთა ბ დივიზიონი 11-20 აგვისტოს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდება. აქაც 24 ქვეყნის ნაკრები შეიკრიბება და გათამაშების ფორმატიც სხვა ასაკობრივი პირველობების ანალოგიური იქნება.

ჯგუფში საქართველოს მეტოქეები ესტონეთი, ბელგია, უნგრეთი, კვიპროსი და ავსტრია იქნებიან.

საქართველოს ქალთა ნაკრები 18 და 20-წლამდელთა ჩემპიონატებში ასპარეზობს. 18-წლამდელთა ნაკრები ც დივიზიონში იასპარეზებს, რომელსაც 26-31 ივლისს ანდორა უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრების მეტოქეები ჯგუფში იქნებიან გიბრალტარისა და მოლდოვას გუნდები.

რაც შეეხებათ 20-წლამდელ გოგონებს, ბ დივიზიონი ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გაიმართება და 19 ქვეყნის ნაკრები იასპარეზებს. საქართველო ჯგუფში გერმანიის, ისრაელის, ისლანდიისა და სომხეთის ნაკრებებთან იასპარეზებს.

მბაპეს გოლით დამარცხებული რეალი

პსჟ-რეალი 1:0

1:0 მბაპე (9)

პსჟ: დონარუმა, ჰაკიმი, მარკინიოსი, კიმპემბე, მენდეში, დანილო (გიე 87), პარედესი, ვერატი, დი მარია (ნეიმარი 73), მესი, მბაპე

რეალი: კურტუა, კარვახალი (ლ.ვასკესი 72), მილიტაო, ალაბა, მენდი, კროოსი, კაზემირო, მოდრიჩი (ვალვერდე 82), ასენსიო (როდრიგო 72), ბენზემა (ბეილი 87), ვინისიუსი (აზარი 82)

ამ მატჩისგან ბევრის მოლოდინი იყო, მაგრამ გამართლდა მხოლოდ ერთი – დაძაბულობა. ორივე გუნდის სათამაშო სტილიდან გამომდინარე ფერიული თამაში არ შედგა და ამის მიზეზი მადრიდის რეალია.

კარლო ანჩელოტის გუნდმა თავიდანვე ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და ძირითადი ყურადღება დაცვაზე ჰქონდა გადატანილი. შეტევაზე იშვიათად გადადიოდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ პოტენციალი ჰქონდათ. თუმცა, მთავარი აქცენტი გადატანილი იყო, რომ არ წაეგოთ.

პარიზელებს შეტევაში უჭირდათ. მართალია, მომენტები შექმნეს, მაგრამ მთლიანობაში რეალი კარგად იცავდა თავს. მომენტებში ჩავარდნებიც ჰქონდათ, მაგრამ ტიბო კურტუამ რამდენჯერმე იხსნა საკუთარი გუნდი. მათ შორის პენალტის დროსაც, როდესაც 11 მეტრიდან მესის აუღო. სხვათა შორის, ეს მესის პირველი გაცუდებული პენალტია რეალის კარში.

ყველაფერი უგოლო ფრესკენ მიდიოდა, მაგრამ ამ ანგარიშს არ ეგუებოდა კილიან მბაპე, რომელმაც ზედ საფინალო სასტვენის წინ, რეალის დაცვა გააბითურა და გუნდი კურტუამაც ვეღარ გადაარჩინა.

საპასუხო მატჩში პარიზულმა გუნდმა არ უნდა წააგოს და მეოთხედფინალში ითამაშებს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კილიან მბაპე

ბოლო წამამდე ამ ტიტულს მთლიანად იმსახურებდა ტიბო კურტუა, მაგრამ მთელი მატჩის მანძილზე მოუსვენარმა მბაპემ სასურველ მიზანს მაინც მიაღწია. მანამდე კურტუამ ორჯერ აჯობა მბაპეს, ხოლო ერთხელ მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი აიღო.

კარლო ანჩელოტი:

– საუკეთესო მატჩი არ გვქონია, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაწილი იყო. ჩვენს სტადიონზე სხვანაირად ვითამაშებთ. ბურთის თავდამსხმელებამდე მიტანის პრობლემა გვქონდა, პასებში შეცდომებს ხშირად ვუშვებდით, პრესინგი ვერ დავძლიეთ, მეტოქე ძლიერი იყო და გაგვიჭირდა. მე-2 მატჩში ცოტა მეტი ზეწოლა დაგვჭირდება, რადგან ვაგებთ, ასევე მოგვიწევს ბურთთან უფრო ზუსტად მუშაობა...

მბაპე ამჟამად ევროპის საუკეთესო ფეხბურთელია, მან გადაწყვიტა მატჩის ბედი. კაზემირო და მენდი საპასუხო მატჩში დისკვალიფიცირებულნი არიან და მათ შევცვლით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ორივე ბარათი გარკვეულწილად ზედმეტი იყო, ამიტომაც, ეს ორსატოსაც ვუთხარი.

მაურისიო პოჩეტინო:

– ძალიან ბედნიერი ვარ, გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, ზოგადად რეალზე უკეთ ვითამაშეთ და გამარჯვებას ვიმსახურებდით. წინ კიდევ ერთი მატჩია, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმა მნიშვნელოვანი იყო. ზეწოლა მოვახდინეთ მათ ნახევარმცველებზე და კომბინაციური ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მივეცით. ბევრი ვიმუშავეთ და ვცდილობდით ბურთი მაქსიმალურად მაღლა შეგვენარჩუნებინა. თამაშს 90 წუთის განმავლობაში ვაკონტროლებდით. ფეხბურთელები ამ შედეგს იმსახურებდნენ. თუმცა, მეორე მატჩში კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ.

სპორტინგი-სიტი 0:5

0:1 მარეზი (7), 0:2 სილვა (17), 0:3 ფოდენი (32), 0:4 სილვა (44), 0:5 სტერლინგი (58)

სპორტინგი: ადანი, ესგაიო, კოატეში, ინასიო, პორო (ნეტო 82), პალინია, მათეუსი, რეისი, სარაბია (ტაბატა 75), გონსალვეში (უგარტე 50), პაულინიო (სლიმანი 75)

სიტი: ედერსონი, კანსელო, დიაში, ლაპორტი (აკე 85), სტოუნსი (ზინჩენკო 61), ბ.სილვა (დელაპი 85), როდრი (ფერნანდინიო 73), დე ბრუინი, მარეზი, ფოდენი (გიუნდოგანი 61), სტერლინგი

მანჩესტერ სიტი ამ წყვილის უდავო ფავორიტად ითვლებოდა და ეს ყველაფერი ლისაბონშივე, პირველ მატჩში გადაწყვიტა. ინგლისურმა ისეთი უპირატესობით მოიგო, რომ საპასუხო მატჩს მხოლოდ ფორმალური სახე დაუტოვა.

სტუმრებმა დასაწყისიდანვე იგდეს კონტროლი და უკვე მე-17 წუთზე მარეზისა და ბერნარდუ სილვას გოლებით იგებდნენ. მანჩესტერელები ამას არ დასჯერდნენ და ტაიმის ბოლომდე ჯერ ფოდენმა შეაგდო, შემდეგ კი, სილვამ დუბლი გაიფორმა.

შესვენების შემდეგ პეპ გვარდიოლას გუნდი ისეთივე აგრესიული არ ყოფილა და მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდა, რომელიც რაჰიმ სტერლინგმა ჩაიწერა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ბერნარდუ სილვა

სილვა ბენფიკას აღზრდილია, ამიტომაც სპორტინგის წინააღმდეგ უფრო ენერგიულად თამაშობს. ასე მოხდა ამჯერადაც – ბერნარდუმ 2 გოლი თავად გაიტანა, ხოლო ბოლოს სტერლინგსაც გაატანინა.

პეპ გვარდიოლა:

– იდეალურად არ გვითამაშია, ზოგიერთმა ფეხბურთელმა უხარისხო ფეხბურთი აჩვენა, ბურთს ადვილად ვკარგავდით, მაგრამ შეტევაში ცივსისხლიანად ვმოქმედებდით. საწყის 7 წუთში დავინახეთ, რამდენად კარგია სპორტინგი. დამიჯერეთ, გუნდებს შორის სხვაობა 0:5 არ არის.

ფეხბურთში ერთ-ერთი მთავარი წესია, როცა ბურთი გაქვს, უნდა ეცადო, რომ არ დაკარგო. განსაკუთრებით, მარტივი ბურთები, მაგრამ ჩვენ უმეტესად ვკარგავდით. როდესაც ეს ევროპის საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ ხდება, მათ კონტრშეტევის შანსს აძლევს და დღეს ტოპგუნდი დაგვსჯიდა. არასწორად არ გამიგოთ, მაგრამ უკეთესად თამაში შეგვიძლია. ახლა კმაყოფილი ვარ, რადგან მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ მანამდე წინ კიდევ ერთი თამაშია.

რუბენ ამორიმი:

– მინდა, რომ ჩემს ფეხბურთელებს ჩავეხუტო. მათ ყველაფერი გააკეთეს, მთელი ძალები შეალიეს თამაშს. არ დაგვავიწყდეს, ვის წინააღმდეგ ვთამაშობდით. დრო გვჭირდება, რათა უფრო ძლიერად ვითამაშოთ. ჯერ პორტუგალიის ჩემპიონობით, შემდეგ კი, ჩემპიონთა ლიგაში ასეთი კარგი თამაშით, დიდი ნაბიჯი გადავდგით, შარშანდელთან შედარებით ეს დიდი პროგრესია.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ამ ტურნირში ყველაფერი დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო მატჩი გველის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

15 თებერვალი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

პსჟ-რეალი	1:0
სპორტინგი-სიტი	0:5

ინგლისი. პრემიერლიგა

მანჩესტერი-ბრაიტონი	2:0

საატურნირო ცხრილი:

1.სიტი	25	20	3	2	61-14	63
2.ლივერპული	24	16	6	2	61-19	54
3.ჩელსი	24	13	8	3	48-18	47
4.მანჩესტერი	25	12	7	6	40-32	43
5.ვესტ ჰემი	25	12	5	8	44-33	41
6.არსენალი	22	12	3	7	34-25	39
7.ვულვზი	23	11	4	8	21-17	37
8.ტოტენჰემი	22	11	3	8	28-29	36
9.ბრაიტონი	24	7	12	5	25-25	33
10.საუთჰემპტონი	24	6	11	7	30-37	29
11.ლესტერი	22	7	6	9	36-41	27
12.ასტონ ვილა	23	8	3	12	31-36	27
13.კრ.პალასი	24	5	11	8	32-35	26
14.ბრენტფორდი	25	6	6	13	26-40	24
15.ლიდსი	23	5	8	10	27-46	23
16.ევერტონი	22	6	4	12	28-38	22
17.ნიუკასლი	23	4	9	10	25-44	21
18.ნორვიჩი	24	4	5	15	14-50	17
19.უოტფორდი	23	4	3	16	23-43	15
20.ბარნლი	21	1	11	9	17-29	14

ინგლისი. ჩემპიონლიგა

კარდიფი-ქოვენთქი	2:0
მილუოლი-ქარ	2:0
შეფილდი-ჰალი	0:0

იტალია. სერია ბ

კოზენცა-პერუჯა	1:2
კრემონეზე-პარმა	3:1
პიზა-ვიჩენცა	2:2
პორდენონე-ჩიტადელა	0:1
სპალი-რეჯინა	1:3
ტერნანა-მონცა	0:1

საფრანგეთი. ლიგა 2

გრენობლი-ნიორი	1:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-სტ.ჯონსონი	1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-ლიბერეცი	2:0

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ძველებური ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრი; 2. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 3. ციმბირული ირემი; 5. ზღვის დიდი ძუძუმწოვარა ცხოველი; 6. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 7. ყმაწვილის ხმის შეცვლა ასაკის მატების გამო; 11. მონასტერი ადიგენის რაიონში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 14. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 15. ოჯახის დედის სახელწოდება ძველ რომში; 16. ვირის ნაშიერი; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 19. მომღერალი, სახალხო მთქმელი მუსლიმანურ ქვეყნებში; 20. ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი გერმანელი მიკრობიოლოგი.

თარაზულად: 1. მიწაში ბინადარი ცხოველი; 4. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 8. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 10. ტკბილეული, დესერტი; 12. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 14. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 15. წითელი ფერის, ტკბილი, იტალიური ღვინო; 16. ფულადი წლიური გადასახადი კომლზე, ძველად საქართველოში; 18. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. ფრანგული მინერალური წყალი; 22. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 23. ბატის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დონბასი; 2. ცოლიკაური; 3. რეცენზია; 4. სლალომი; 5. ბაიერი; 9. სპაზმი; 11. ჩარტერი; 12. ჭილაძე; 14. კეპლერი; 18. ივერი; 19. სარკე.

თარაზულად: 4. სულორი; 5. ბანოვანი; 6. კენზო; 7. ტარაბუა; 8. გინესი; 10. ქერჩი; 13. საკურა; 15. არმანი; 16. იუტა; 17. დოღი; 20. ლიკანი; 21. მეტეხი; 22. მერკური; 23. კიტელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფრანკი; 2. ტაიგა; 3. ლაკი; 5. ჭედილა; 6. სიამი; 7. ბორუსია; 11. ნესკრა; 13. გეიზერი; 14. კრონა; 15. მოდრიჩი; 16. ბაკარდი; 17. ასკერი; 19. ალაფი; 20. მესა.

თარაზულად: 1. ფუტბალი; 4. ჯრუჭი; 8. კიოტო; 9. დეკა; 10. ნაგანი; 12. გურიელი; 14. კოკი; 15. მატადორი; 16. ბზობა; 18. გურია; 21. კაფია; 22. დროსელი; 23. ფერმერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9934

ევრო — 3.4065

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0602

100 რუსული რუბლი — 3.9877

ამინდის პროგნოზი 17 თებერვლისათვის



მაურისიო პოჩეტინო: „გამარჯვება დავიმსახურეთ“

პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ რეალთან მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა, მიუხედავად იმისა, რომ პსჟ-მ მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლო გოლის გატანა:

– მთელი მატჩის მანძილზე ვდომინირებდით და უფრო დამაჯერებლად უნდა მოგვეგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ. მომენტების მიმართ მეტი ყურადღება გვმართებს. მადრიდში მეტოქე შეცდომებს არ გვაპატიებს“

აგუერო: „მეეჭვება, ოდესმე სპრინტის გაკეთება შევძლო“



სერხიო აგუერომ თავის ჯანმრთელობაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის კვლავ გრძნობს, რომ მისი გული სათანადოდ არ მუშაობს და შესაძლოა ამის გამო მან სპრინტის გაკეთება ვერასოდეს შეძლოს:

– სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი გული ისე არ მუშაობს, როგორც საჭიროა და ამის გამო ფეხბურთის თამაში მიჭირს. რთული წარმოსადგენია, რომ ოდესმე სპრინტის გაკეთება მოვახერხო, თუმცა დანებებას არ ვაპირებ.

ჰამბურგმა შესაძლოა ჩაკვეტაძე გამოისყიდოს



გიორგი ჩაკვეტაძე ჰამბურგში საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება და შესაძლოა გუნდმა მისი გამოსყიდვაც გადაწყვიტოს. ჩაკვეტაძის ტრანსფერი ჰამბურგს ძვირი არ დაუჯდება და მთავარია, რომ გენტი დათანხმდეს, რადგან თუ ასე არ მოხდა, მაშინ გიორგის ბელგიაში მოუწევს დაბრუნება.

გერმანულ პრესაში უკვე იწერება, რომ ჩაკვეტაძე მომავალში შესაძლოა ჰამბურგის ერთ-ერთი ლიდერი გახდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მასწავლებელს ბავშვების დაბადების დღის თარიღებმა ლატარიაში გაამარჯვებინა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის მცხოვრებმა ლატარიაში იმის წყალობით გაიმარჯვა, რომ მათში ბავშვების დაბადების დღის თარიღები ჩაწერა.

77 წლის ლუი პეინი, რომელიც ადრე მასწავლებლად მუშაობდა, ამტკიცებს, რომ საგანმანათლებლო ლატარიის ბილეთი შეიძინა, რომელსაც ჩრდილოეთ კაროლინას ხელისუფლება ატარებს შტატის საგანმანათლებლო სისტემის მხარდასაჭერად. მასში გამარჯვება კი მისთვის ნამდვილ სიურპრიზად იქცა.

– გაოგნებული აღმოვჩნდი, – ყვება მამაკაცი, – რა თქმა უნდა, ეს მე ვერ დავიჯერე.

დადო რა ფსონი ბავშვების დაბადების დღეებზე, პეინმა 110 ათასი დოლარი მოიგო. მისი გადაწყვეტილებით, მოგებული თანხის ნაწილის ინვესტირებას განახორციელებს, ხოლო დანარჩენ ნაწილს კი ოჯახის წევრებს გაუნაწილებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 თებერვლისათვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **ჯარო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ბყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **მერწყული** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მამაკაცი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, როგორ ავიცილო თავიდან ვენერიული დაავადება?

– ჩაი დალიე.

– მანამდე, თუ იმის შემდეგ?

– იმის ნაცვლად!

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– ბავშვებო, ახლა მოგიყვებით, როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი...

– მასწავლებელო, ჩვენ ის უფრო გვაინტერესებს, როგორ გაჩნდა მესამე ადამიანი! – ეუბნება ერთ-ერთი მოსწავლე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მონღოლეთში ასეთი ტრადიცია აქვთ, როდესაც ოჯახში ბიჭი დაიბადება, ოჯახის უფროსი ხეს რგავს, მაგრამ, თუ შვილი სულელი გამოვიდა, იმ ხეს ჭრიან.

– მონღოლეთში ნამყოფი ვარ, ირგვლივ სულ უკიდეგანო სტეპებია...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– ბიჯო, მიხოს ორმოცზე ისეთი ხაშლამა გაუკეთებიათ, რომ სული კიდევ ორმოცი დღე დარჩა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ამასწინათ მოვისმინე, რომ თურმე რუსული კომპანია ახალ ტანკებს ტუალეტებით აღჭურავს.

– ეგ რა არის, ახლახან კი განაცხადა, რომ ტანკი უპილოტო იქნება და მის მართვას ხელოვნური ინტელექტი განახორციელებს.

– აბა, ტუალეტში ხელოვნური ინტელექტი ივლის?

●●●

პროზექტურის დირექტორი თავის მეგობარს, მოტოციკლების მაღაზიის დირექტორს ურეკავს და ეკითხება:

– დღეს რამდენი მოტოციკლი გაყიდე?

– ოთხი.

– ვაა! სამი უკვე აქ არის და მეოთხე ნეტავ რა იქნა?

●●●

ცოლმა ქმარს სთხოვა:

– წადი, ბავშვი დააძინე.

ნახევარი საათის შემდეგ ცოლმა ბავშვის ოთხში შეიხედა და დაბალი ხმით იკითხა:

– დაიძინა?

– ჰო, დედიკო, სძინავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დუა ლიპა მაიამიში გამართულ კონცერტზე დემნას სამოსით წარდგა

მსოფლიო ვარსკვლავმა დუა ლიპამ ახალი საკონცერტო ტურნე წამოიწყო. პირველი კონცერტი მან მაიამიში გამართა და მსმენელის წინაშე ქართველი დიზაინერის დემნას სამოსით წარდგა.

დემნამ და ბალენსიაგას დიზაინერებმა არა მარტო მომღერლის, არამედ მისი მოცეკვავეების კოსტიუმებზეც იმუშავეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, დუა ლიპას ორიგინალურმა ჩაცმულობამ მთელი ამერიკა აალაპარაკა.

ლევან კოღუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“ ამერიკის კინოეკრანებზეა

ქართველი რეჟისორის ლევან კოღუაშვილის ერთ-ერთი ბოლო ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ ამერიკის კინოთეატრებში გადის.

ფილმმა უკვე დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც მაყურებელში, ასევე კინომცოდნეებსა და რიგით ჟურნალისტებში. ამერიკულმა გამოცემებმა ლევან კოღუაშვილის ნამუშევარს არაერთი სტატია მიუძღვნეს.

„მეოთხე ბრაიტონი“ საქართველომ ოსკარზე წარადგინა, თუმცა ფილმი რჩეულთა სიაში ვერ მოხვდა. ლევან კოღუაშვილის სურათში მთავარ როლს ლევან თედიაშვილი ასრულებს. ამ ფილმში ითამაშა თავისი უკანასკნელი როლი კახი კავსაძემაც.

ლევან კოღუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“ არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. თბილისელი მაყურებელი მის პრემიერას თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე დაესწრო.

ფილმი ქართველ ემიგრანტებზე შეულამაზებელ ისტორიას გვიყვება.

პაატა გულიაშვილი თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია

პაატა გულიაშვილი თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსახიობი ამ თანამდებობას 4 წლის ვადით დაიკავებს. შესაბამისი ბრძანება უკვე გამოცემულია.

პაატა გულიაშვილი თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიციას იკავებდა და უფლებამოსილების 4-წლიანი ვადა 1 იანვარს ამოწურა. თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსი 30 დეკემბერს გამოცხადდა და მასში მონაწილეობა მხოლოდ პაატა გულიაშვილმა მიიღო.

რუსთავის თეატრი 55 წლის იუბილეს „კუკარაჩას“ მიუზიკლით აღნიშნავს

გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრი 55 წლის იუბილეს ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ მიხედვით დადგმული მიუზიკლით აღნიშნავს. სპექტაკლის რეჟისორი სოსო ნემსაძეა.

წელს რუსთავის თეატრი 136 ღონისძიებას გამართავს, მათ შორის, 6 სპექტაკლის პრემიერაა. გაიხსნება თეატრის მუზეუმიც და შედეგად მასალა, რომელიც არქივში უნდა ინახებოდეს, ერთ სივრცეში განთავსდება. ამ დროისთვის უნდა დასრულდეს 0 სართულის ტერიტორიის ე.წ. სარდაფის სივრცის რეაბილიტაციაც, სადაც მაყურებლისთვის გარდერობიც მოეწყობა.

რუსთავის თეატრის 55 წლის იუბილესთვის მსახიობი კოკო როინიშვილი მაყურებელს ო. ჰენრის ნოველების მიხედვით დადგმულ სპექტაკლს შესთავაზებს.

ზაფხულში კი რუსთავის თეატრი კომედიური და მუსიკალური სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს.

საიუბილეო სეზონის მიწურულს, თეატრალური კვირეულის ფარგლებში, რუსთავს საკუთარი წარმოდგენებით რეგიონის თეატრები ესტუმრებიან.

საიუბილეო სეზონს 30 ნოემბერს, დასკვნითი, კოსტიუმირებული, გალა ღონისძიება დაასრულებს, სადაც რუსთავის თეატრის დამაარსებელი მსახიობები, ამჟამინდელი და ყოფილი დასის წევრები, რეჟისორები, მხატვრები და სხვა საპატიო სტუმრები შეიკრიბებიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 2. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 4. ჭაობის მწერი-ჭამია მცენარე; 5. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 9. ცხვრის ერთგვარი ყველი; 11. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 12. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 14. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 18. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 19. ფრანგი ექიმი, ნევროპათოლოგიისა და ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი.

თარაზულად: 4. მდინარე ყვარელში; 9. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 6. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 7. ცნობილი ბაზარი ბარსელონაში; 8. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 13. ტბა სომხეთში; 15. მწვანით მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. იაპონური ბრინჯის არაყი; 17. ყურძნის არაყი; 20. ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 21. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 22. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 23. ცხენის ან აქლემის რძისგან მომზადებული სასმელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა